საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ფუფლებით და ჭირებით ბუტრის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი-პარასკევი, 29-31 დეკემბერი. 2021 წ. №219 (9338) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

მოთმინებით – ეროვნული თანხმობისკენ!

ეროვნული თანხმობა მარტივი საქმეა, თუ ამჟამინდელი ეგრეთ წოდებული ოპოზიცია და, კერძოდ, ნაციონალური მოძრაობა, შეეშვებიან ანტისახელმწიფოებრივ, დესტრუქციულ მოქმედებებს, დადგებიან სწორი ისტორიული დროის მხარეს, მშვიდობიანად ეთანამშრომლებიან ქართველი ხალხის უმრავლესობის მიერ არჩეულ ხელისუფლებას, ხელს არ შეუშლიან ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და მოთმინებით დაელოდებიან 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებს!

სწორედ ხელის არშემლა იქნება დიდი ეროვნული და სახელმწიფოებრივი თანხმობა, შერიგება, რასაც აგრერიგად საჭიროებს უკეთესი ცხოვრების ღირსი ჩვენი ხალხი!

დავით მაღრაძე

როგორც მიყვარხარ, ისე მომწონხარ, როგორც მომწონხარ, მიყვარხარ ისე...

ქრისტეშობიდან ეს ორიათას
ოცდაორი რომ დადგება „ბის!“-ზე,
თუ ვერ შევხვდებით ესკორიალთან,
ბატონის წყალთან დავიცდი ისევ.
მამლის ყივილმა, ნაგაზის ყეფამ
მომცა სიფხიზლე საზღვარის მცველის
და წყაროს ღარზე მიშვერილ კეფას
ქრისტემ შეახო გამხდარი ხელი.
როცა მკითხავმა გროშის სანაცვლოდ
მომცა ჯვრის დამის სამოთხის საშვი,
მაშინ განათდა ლექსის Palaco, –
ბოშის ჩანთიდან ღიმილი ბავშვის.
განათდა ლექსის სახლი და ახლა
ვბრუნდები შენთან,
როგორც ულისე,
ცინცხალი ჭორის ინტრიგა ახლავს
თეატრის სცენის მტვრიან კულისებს.
და განშორებას რადგან არ ვენდე,
შენს სურნელს ისე შევიგრძნობ გზაში,
ფარდის „ბრავო!“-თი დაშვების შემდეგ
– როგორც განაგრძობს სიცოცხლეს ტაში...
მოვდივარ შენკენ
და ვარ ამაყი,
რომ კვლავ მფარველად მირჩევს ჰეტერა
და მელოდება შენი ჰამაკი,
როგორც ორდენი ომის ვეტერანს.
დამემოწმება ციდან ზენა ან
ვნების ღვთაება იტყვის ეროსი,
რომ ლექსი ჩემთვის გადარჩენაა...
– ...ვისთვის share-ი მსუბუქ ნევროზის.
მოვდივარ და თვალს ძველი უბანი
ისე მაყოლებს, როგორც სამიზნეს,
ჩემი ლექსები, მწყალობს უფალი,
უცხო ქვეყნებში უკვე გავხიზნე.

იქნებ უკეთეს მომავალს მივცე
და როგორც ქვრივი ვმფარველობ ალბა,
მერე კი როცა გავუცვლი სივრცეს,
დაბრუნდებიან უჩემოდ, ალბათ.
ჯერ კი მოვდივარ, ძველი კედელი
მომდევს წარწერით:
„დათოს+ლალი...“
შეუძლებელი თუ ვერ შევძელი,
ჩემი კისერი
– და შენი ხმალი.
მოვდივარ, მაგრამ
მინდა მანამდე,
რადგან ბილიკმა დამქანცა შორმა,
გაგანდო, ერთხელ რაც ვერ გაგანდე
და საიდუმლო გავიყოთ ორმა:
...პოეტის სახლში სრულდება მესა,
გათამაშდება ძველი პიესა,
გადაიქცევა სიტყვები ლექსად,
როგორც პური და ღვინო იესად.
ოთახს ჰყოფს შირმა,
მსგავსად კანკელის...
კალმის წკრიალის ისმის:
– ოსანა!
და სამელნიდან ამოკენკილი
ავკინძე სიტყვის კრიალოსანი.
პოეტის სახლში სრულდება მესა,
ევქარისტიას მოწმობს ფურცელი,
სადაც პოეტი იცვლება ლექსად
და საიდუმლო რჩება უცვლელი.
და მარად უფლის ნიშანს რო ველი,
ვიცი, ამიტომ მაწევს რა ვალი,
როგორც ბოლერო
მორის რაველის,
უსასრულობით მოურევველი.
შეძახილივით მოჩანს რაველო,
ვით სერენადა ძველი აივნის,
არ მოერიოს რომ სარეველა,
მე ამ ალეას ლოცვით ავივლი.
ავივლი ისე, როგორც გოლგოთას...
– ჩვენს ჯვრისწერაზე მოვიწვევ ქრისტეს...
როგორც მიყვარხარ, ისე მომწონხარ,
როგორც მომწონხარ, მიყვარხარ ისე...

მრავალ ახალ, მშვიდობიან, ბარაქიან წელიწადს!

ჯანდაცვის ახალი მინისტრი მუშაობას 30 დეკემბრიდან შეუდგება

ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის თამარ გაბუნიას განცხადებით, უწყების ახალი ხელმძღვანელი ზურაბ აზარაშვილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის თანამდებობაზე მუშაობას 30 დეკემბრიდან შეუდგება.

„ბატონი ზურაბ აზარაშვილი, რომელიც 27 დეკემბერს სამინისტროში გახლდათ, მერე საკოორდინაციო საბჭოს სხდომას ესწრებოდა. რა თქმა უნდა, ეტაპობრივად, მინისტრი ჩაერთვება სამინისტროს ყველა აქტივობაში. მომდევნო ორი დღის განმავლობაში გვექნება შიდა კონსულტაციები მიმდინარე საქმეებთან დაკავშირებით. როგორც გადაწყვეტილებაა მიღებული, 30 დეკემბრიდან მინისტრი სრულად შეუდგება საქმიანობას“.

კელი დეგნანს „სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ“ კანონპროექტი ადარდებს...

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა კელი დეგნანმა პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილთან, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ნიკოლოზ სამხარაძესთან და უმრავლესობის სხვა დეპუტატებთან შეხვედრა გამართა.

დეგნანის თქმით, შეხვედრაზე საუბარი შეეხო „სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ“ კანონპროექტსა და მართლმსაჯულების რეფორმის საკითხებს.

„ჩვენ ძალიან ვაფასებთ შესაძლებლობას, რომ შევხვედროდით კომიტეტების თავმჯდომარეებს, რათა გამოგვეხატა ჩვენი შეშფოთება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის კანონპროექტზე, კერძოდ იმ მუხლებზე, რომლებიც ითვალისწინებს სამსახურის თანამშრომლების გათავისუფლებას. ჩვენ კითხვის ნიშნის ქვეშ დავაყენეთ ამ საკითხის დაჩქარებული წესით განხილვა. კომიტეტების ხელმძღვანელებმა უპასუხეს ჩვენს შეკითხვებს და ვფიქრობ, მხედველობაში მიიღეს ჩვენი შეშფოთება, რასაც ვაფასებთ. ჩვენ ასევე გვქონდა შესაძლებლობა, გვესაუბრა კანონმდებლობაზე, რომელიც შეცვლის დისციპლინურ პროცესს მართლმსაჯულების სისტემაში მოსამართლეებისთვის. ასევე, საერთო სასამართლოების შესახებ კანონის სხვა შესწორებებზე. ისევ და ისევ ჩვენ გამოვთქვით შეშფოთება, რომ ეს საკითხები განიხილება დაჩქარებული წესით, ინკლუზიური საკონსულტაციო პროცესის გარეშე, ყველა დაინტერესებულ მხარესთან.

ეს არის კანონმდებლობის ძალიან მნიშვნელოვანი მონაკვეთები, რომელიც იმსახურებს ფართო კონსულტაციებს და დროს, რომ ისე იყოს განხილული, როგორც საქართველოს საუკეთესო ინტერესებშია. ორივე შემთხვევაში ჩვენ ვურჩიეთ კომიტეტების თავმჯდომარეებს, რომ შეანელონ პროცესი. დავრწმუნდი, რომ მართლმსაჯულების რეფორმაზე კონსულტაციები იანვრიდან დაიწყება. ჩვენი რეკომენდაციები და პოზიციებია, რომ ნებისმიერი შესწორება განხილული იყოს პროფესიონალურ დონეზე. ვიმედოვნებ, რომ კომიტეტების ხელმძღვანელები ჩვენს შეშფოთებას სერიოზულად მიიღებენ და შეანელებენ ორივე კანონმდებლობის განხილვას, ვიდრე სხვა დაინტერესებულ მხარეებთან არ ჩატარდება სრულყოფილი და ფართო კონსულტაციები“, — განაცხადა კელი დეგნანმა.

მსჯავრდებული მიხეილ სააკაშვილი დროებით გორის სამხედრო ჰოსპიტალში რჩება

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე გაცნობებთ, რომ მიმდინარე **წლის 27 დეკემბერს, მსჯავრდებულ მიხეილ სააკაშვილის მკურნალობის დასრულების შემდგომ, სამედიცინო პერსონალმა მიიღო გადაწყვეტილება გორის სამხედრო ჰოსპიტლიდან მიხეილ სააკაშვილის გაწერის შესახებ,** — ინფორმაციას სპეციალური პენიტენციური სამსახური გვაწვდის.

მათივე ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილი არ დაემორჩილა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა კანონიერ მოთხოვნას რუსთავის №12 დაწესებულებაში გადაყვანის შესახებ. აღელვების ნიადაგზე მას აღენიშნებოდა წნევის ცვალებადობა, რის შედეგადაც სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება კანონიერი გადაყვანის ღონისძიების დროებით გადავადების თაობაზე. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის 19 ნოემბრიდან, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ, მსჯავრდებული მიხეილ სააკაშვილი შესაბამისი მკურნალობისთვის გადაყვანილი იყო გორის გიორგი აბრამიშვილის სახელობის სამხედრო ჰოსპიტალში, სადაც მას გაეწია ყველა საჭირო სამედიცინო მომსახურება და მუდმივ რეჟიმში იმყოფებოდა ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ.

კიდევ ერთი დაზაფრული წელიწადი,

ანუ მიშოფრენიის ეპიდემია საქართველოში

ყველა **დალაგებულ ქვეყანაში ყოველი დეკემბრის ბოლოს გასულ წელს აჯამებენ და აფასებენ. მართალია, ჩვენ დალაგებულები და ჭკუადამჯდრები არა ვართ, მაგრამ ტრადიციას ნუ დავარღვევთ. წინდაწინ ვაცხადებ ნოდარ დუმბაძის გავლენით: წლევანდელი წელიწადი დიდი დაზაფრული წელიწადი იყო.**

მართლაც, შარშანდლიდან გადმოყოლილი „გაყალბებული“ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ავარდნილი წივილ-კივილი და სინდისგარეცხილი ბრალდებები დათარეშობდა ქვეყანაში და, შესაბამისად მომართული ოპოზიცია, იმის კვალდაკვალ, რომ „გაყალბებამ“ რევოლუცია ისევ ვერ შვა, ვაშინგტონსა და ბრიუსელში ხელისუფლების ჩაშპიონებაზე გადავიდა. ვითარება სამართებელივით ალესა ნიკანორ მელიას დაკავებამ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოფისის ბოლო სართულიდან, პირდაპირ ჰაერიდან, საპოლიციო დესანტის მიერ.

მანამდე კი დაკავების წინა ბაკქანალიით გატყორცნილი ნაფოტი სახელმწიფო კანცელარიას მოხვდა და პრემიერი გიორგი გახარია შეიწირა, თუმცა, ისიც სათქმელია, რომ ეს შეწირული კაცი, რომელსაც, როგორც ხდება ხოლმე, ქვა და გუნდა მიაყარეს და ისეთი რამეები წამოუქექეს, თვითონ ასი წელი ვერ მოიფიქრებდა, მალე გამოვიდა ნოკაუტიდან, ახალი, ათასმეერთე ოპოზიციური პარტია შექმნა და ტრადიციული, ყავარზე კუდგადებული პარტიებისგან განსხვავებით, შემოდგომაზე ადგილობრივ არჩევნებში ხელშესახებ გამარჯვებას მიაღწია-მესამე ადგილი მოიპოვა.

19 აპრილს ოპოზიციურმა პარტიებმა ხელი მოაწერეს ევროკავშირიდან შეთავაზებულ შარლ მიშელის დოკუმენტს, რომელსაც არსებული უმწვავესი ვითარება უნდა განემუხტა. ვერ განმუხტა, მაგრამ ერთი კი გააკეთა, ციხიდან გამოუშვა „პოლიტპატიმრები“, პიწავარდნილი სისხლის სამართლის დამნაშავეები: გიგი უგულავა, ირაკლი ოქრუაშვილი და გიორგი-ჟორიკა რურუა.

რევოლუციას მაინც ვერ ავცდით. ივლისში ამერიკა-ევროპის შეერთებული შტატების პირველმა ჟურნალისტმა (დ)ინგა გრიგოლიამ იმარჯვა. მან უკან მოიტოვა დიდი რევოლუციონერი ქალბატონები, თვით ამხანაგი როზალია ზემლიაჩკაც, წითელი ტერორის ერთ-ერთი ორგანიზატორი. მუდამ სენსაციის მოყვარულმა გრიგოლიამ გამოიყენა 5 ივლისს რუსთაველზე მომხდარი ცემა-ტყეპა, სადაც ლგბტ-ების აღლუმის წინააღმდეგ მოქნეული მუშტი ჟურნალისტებსაც მოხვდათ გამორჩეულად. სამწუხაროდ, დაიღუპა ოპერატორი ლექსო ლაშქარავა (ოღონდ, მისი გარდაცვალების მიზეზი, როგორც არაერთგზის გვიჩვენეს ტელეეკრანებზე, სულაც არ იყო ცემის შედეგი). გრიგოლიამ დარაზმა მოძმე ტელეარხები, თანამოაზრე ბრიყვები და ხელისუფლებას შეუსია. ბევრი იძახა, სანამ ხელისუფლება არ გადადგება, არ დავიშლებითო, მაგრამ, როგორც კი ცეცხლი მინელდა, მაშინვე „დაიშალა“ და ისევ სტუდიას შეაფარა თავი.

წლევანდელმა წელმა ახალი (ადგილობრივი თვითმმართველობის) არჩევნების შემდგომი ღრიანცელი-თაც არ დაგვწყვიტა გული. მიუხედავად იმისა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ოქტომბერში დამაჯერებლად გაიმარჯვა როგორც პირველ, ისე მეორე ტურში, ოპოზიციამ მაინც გაყალბებულად გამოაცხადა იგი, რაკი დამარცხების ახსნის სხვა ვარიანტი არ ჰქონდა და ქვეყნის არევა დაიწყო. მართალია, მთლად არევა და დაქცევა ვერ შეძლო, მაგრამ გვარიანად კი შეაჯანჯღარა. ამდენად, ოპოზიცია კვლავ დამარცხდა, მას ვერც ოქტომბერშივე საქართველოში მაჩვენით შემოპარულმა ბელადმა, საქართველოს მესამე პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა უშველა. და ახლა ნაშიმშილევ-ნაწამები, „არაადამიანური მოპყრობით გატანჯული“ მიშა გორის ჰოსპიტლიდან დღეში 5-9 ინსტრუქციას უგზავნის ნაცთა პარტიას და მოუწოდებს, ყველა ძალით ეცადეთ ჩემს გათავისუფლებას, ეს იქნება საქართველოს გათავისუფლება, ოპოზიციის გამარჯვებაო. მას აძრწუნებს ფიქრი, რომ გორის ჰოსპიტლის სამოთხიდან, ხვალ იქნება თუ ზეგ, ისევ რუსთავის მე-12 ციხეში უკრავენ თავს და ათასგვარი ჭკუამიღმური ხრიკებით ცდილობს მართლმსაჯულებისგან თავის დაძვრენას.

ერთი სიტყვით, საქართველოს მოედო ეპიდემია-მიშოფრენია!

ახალ წელს ვხვდებით მესამე პრეზიდენტის წიაღში შობილი გამარჯვების ახალი იდეით: ნაცების ოფისთან კარვებში მიჯრით მწოლი სამასამდე მოშიმშილით.

ერთგვარად ასრულდა თაკო ჩარკვიანის ნატვრა: რუსთაველზე ლეიბები გავშალოთ და წამოვწვეთო. ჯერჯერობით რუსთაველზე არ წვანან, მაგრამ არის რეალური პერსპექტივა, რომ შიმშილობა იქამდეც მიაღწევს და მთა-თუშეთამდეც. და საერთოდ მხართეძოზე წამოწოლილი ჩვენი ოპოზიციონერები მთელ ქვეყანაში იშიმშილებენ სადილობიდან ვახშმობამდე, მშრალი, სასიკვდილო შიმშილობით. არც მერე მოკაკვავენ თითს ქოცები? თუმცა, ექსპრეზიდენტის დედა გიული ალასანია ერთობ უიმედოდ არის განწყობილი: ამ შიმშილობის გამო არა მგონია ხელისუფლებას გული აუჩუყდეს, ძალიან გულქვა, ძალიან დაუნდობელი რეჟიმი გვყავს ქვეყანაშიო.

ერთობ მართებული დაკვირვებაა! შიმშილობა სულაც არ ხსნის დაძაბულობას და ვერ გვთავაზობს გამოსავალს ჩიხური ვითარებიდან.

მაგრამ მიშა თავგანწირულად ებღაუჭება პირმშოს — „ერთიანი პოლიტიკური შიმშილობის“ სტრატეგიას. შიმშილობის გარდა ქვეყანას მოედება სხვა საპროტესტო აქციები. ასეთ თავგანწირვას დამარცხებული ჰყავს ბრიტანეთისა და საბჭოთა იმპერიები და ერთი ბოროტი ოლიგარქი რა გახდაო! მას ვერ მოუნელებია, რომ ამ „ერთმა ბოროტმა ოლიგარქმა“ ხუხულასავით დაამხო მისი ხელისუფლება 2012 წელს არჩევნებით და მას მერე მთელი ცხრა წელიწადი ვერაფერი მოუხერხა.

დაბოლოს, ახალი წლის კვირაძალზე გადადგა პარლამენტის თავმჯდომარე კახა კუჭავა. იგი შალვა პაპუაშვილმა შეცვალა. შალვა ნათელაშვილმა, რომელიც ლამის წელიწადია არც მკვდრებში წერია და არც ცოცხლებში, ახალ თავმჯდომარეს ივანიშვილის „ერთ-ერთი ყველაზე აგრესიული გლადიატორი“ უწოდა. ჭორვილუხუცესის ნებით მონღოლთა ლაშქარს თავის დროზე ჩამორჩენილი ესკიმოსის შთამომავალიაო.

ქვეყნის ეს მთავარი ლეიბორისტი, მას შემდეგ, რაც ერთხანს თავის ფანჩატურში იბაირამა, შარლ მიშელს „მოუხაზა“, მის პროექტს ხელი არ მოაწერა, სულ გატყიურდა.

აი, ასე ვხვდებით 2022 წელს. ღმერთმა გამოარჩიოს იგი მანამდელი წლებისგან, მშვიდობა და სიწყნარე მოეტანოს. დიდად არ მეიმედება, მაგრამ იქნებ სალომე ზურაბიშვილის „შერიგება — პოლარიზაციის დასრულების“ იდეამ მაინც გაამართლოს!

ღმერთმა ქნას!

ალეკო ასლანიშვილი

სოსო ცინცაძე: „გენერალი“ თემურ ალასანია იმის ჩიტია, ეს სისულელე ეთქვა?!.

რატომ გადაიკვეთა ზურაბ ჟვანიას გზები ალასანიასთან?

ᲯᲔᲠᲐᲪ **განუბაჟებელი ტუსაღის ბიძის თემურ ალასანიას საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ კვლავ გააქტიურდა ᲖᲣᲠᲐᲑ ᲟᲕᲐᲜᲘᲐᲡ ბურუსით მოცული გარდაცვალების საქმე და თემურ ალასანიას ცნობილი ფრაზა — „სულ მალე ჟვანია ხელს ვეღარ შეგვიშლის“!.. მართლაც, 20 დღეში ჟვანია დაიღუპა.**

წლების წინაც ვწერდით, რომ ჟვანიას მკვლელობის მთავარ მოტივად თბილისის აეროპორტის პრივატიზაციის პროცესი სახელდებოდა, რომელიც სჭირდებოდა **ერიკ გუდისს,** რომელიც თემურ ალასანიას პარტნიორი იყო, გუდისის მამა კი ამიერკავკასიის „ვაენნი ოკრუგის“ უფროსი იყო. ჟვანია კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ამ პირის მიერ აეროპორტის შესყიდვას და ერიკ გუდისმაც ჟვანიაზე გაბრაზებულმა დატოვა საქართველო...

როგორც ოჯახის წევრები იხსენებენ, 2005 წელი ჟვანიასთვის რთული გამოდგა. ის ფიქრობდა, ხომ არ დავანებო თავი ყველაფერს და საცხოვრებლად აშშ-ში ხომ არ წავიდეთო.

ᲛᲐᲘᲜᲪ ᲠᲐ ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲔᲚᲝᲓᲝᲗ ᲖᲣᲠᲐᲑ ᲟᲕᲐᲜᲘᲐᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ?

ანალიტიკოს **ზაალ ანჯაფარიძეს** ზურაბ ჟვანიას თემის ირგვლივ განსაკუთრებული მოლოდინი არ აქვს, რადგან ჟვანიას საქმე, პრაქტიკულად, გაჩერებულია, გამოძიება არ მიმდინარეობს და დღეს უკვე ჟვანიას თემის ხელახლა წამოწევა რას მოგვიტანს, არავინ იცის.

„პროკურატურას თუ აქვს რაიმე ხელჩასაჭიდი სამხილი, შეუძლია, ეს საქმე გააცოცხლოს, ყოველ შემთხვევაში, აქამდე რაიმე მნიშვნელოვანი სიტყვა პროკურატურას ამ საქმესთან დაკავშირებით არ უთქვამს. თუ ახლა თემურ ალასანიას ფაქტორის გამოყენებით შეეცდებიან ამ საქმის გაცოცხლებას, ვერაფერს გეტყვით“, — აღნიშნა ზაალ ანჯაფარიძემ ჩვენთან საუბრისას.

ანალიტიკოსი **დავით ზარდიაშვილი** შენიშნავს, რომ ძიება ზურაბ ჟვანიას საქმესთან დაკავშირებით შეჩერებულია და დიდი ხანია, არაფერი არ გაგვიგია ამ საქმის თაობაზე. რაც შეეხება თემურ ალასანიასთან დაკავშირებულ ხმებს, ანალიტიკოსი აცხადებს, რომ ეს ხმები კარგა ხანია ვრცელდება, იმ პერიოდიდან მოყოლებული, როცა ზურაბ ჟვანია გარდაიცვალა.

„სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით, თემურ ალასანიასთან მიმართებით რა მოხდა, ფაქტია, თემურ ალასანია სხვა საქმესთან დაკავშირებით გამოძიებას ემალება და საქართველო დატოვა. ერთი რამ ცხადია, იმ დანაშაულებში, რასაც სააკაშვილის რეჟიმი სჩადიოდა, ალასანიას დიდი როლი მიუძღვის. როგორც მოწმეები ამბობენ, „ჟვანია ხელს ვეღარ შემიშლისო“, — ასე უთქვამს თემურ ალასანიას.

„სხვათა შორის, პეტრე მამრაძეს ეს ზუსტად აქვს გადმოცემული. ზუსტად ამიტომ გაუჩნდა ოჯახს ეჭვი, ზურაბ ჟვანიას მკვლელობასთან ხომ არ ჰქონდათ საქმე. თემურ ალასანია რომ კაგებეს გენერალია, ცოტა გაზვიადებულია. უბრალოდ, ის არის კგბ-ს ნომენკლატურა, რომელიც საბჭოთა კავშირის კვოტით დაინიშნა გაეროში. მისი ასეთ თანამდებობაზე დანიშვნა, რასაკვირველია, კგბ-ს მწვანე შუქის გარეშე არ მოხდებოდა. თემურ ალასანია არის ორმაგი, სამმაგი, შეიძლება უფრო მეტმაგი აგენტიც, რომელიც საკუთარ ინტერესებზე თამაშობს და მტრულად განწყობილი სახელმწიფოების ინტერესებსაც იყენებს ამ თამაშში. შემთხვევითი არაა, რომ საქართველოში სააკაშვილის ხელისუფლებაში მოყვანა სხვადასხვა ინტერესების ბალანსის შედეგად მოხდა“...

ანალიტიკოსის თქმით, ჟვანიას მოცილებაში ბიზნეს-ინტერესებზეა საუბარი, სტრატეგიულ ინტერესებზე. კონკრეტულად კი, იმ პერიოდში მკვეთრი დაპირისპირება იყო სააკაშვილისა და ჟვანიას გუნდებს შორის.

„თემურ ალასანიას სახელს, ასევე, უკავშირდება იარაღით ვაჭრობის ინტერესებიც. რატომ გადაიკვეთა ზურაბ ჟვანიასთან მისი გზები? ჟვანია იყო რაციონალური პოლიტიკის მომხრე და მისი მმართველობა გარკვეულ წესებს ექვემდებარებოდა. სააკაშვილის მმართველობის დროს კი ბევრი ისეთი საკითხი იყო, რაც ყოველგვარი კანონის და სამართლიანობის გარეშე წყდებოდა. არც მეტი, არც ნაკლები, ჟვანიას მოცილების საქმეში აშკარად იკვეთება რუსეთის დაინტერესება, მაგრამ არა მხოლოდ რუსეთის ინტერესებია აქ მთავარი, არამედ აეროპორტზეცაა საუბარი, რომელიც მოგვიანებით თურქული კომპანიის ხელში აღმოჩნდა“, — აღნიშნა დავით ზარდიაშვილმა.

პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** მიიჩნევს, რომ ზურაბ ჟვანიას საქმესთან დაკავშირებით რაიმე ხელმოსაჭიდი რომ ყოფილიყო, ჯერ კიდევ პირველი პროკურორი არჩილ კბილაშვილი იტყოდა. კბილაშვილი ამ მასალებით სპეციალურად ამერიკაში იყო ჩასული, ფბრ-თან, იქ ჰქონდა კონსულტაციები და იქ უთხრეს, ეგ უპერსპექტივო საქმეაო.

„ყველამ იცოდა ჟვანიას ამბავი, ეს იყო უბედური შემთხვევა, თორემ სააკაშვილს ზურაბ ჟვანიას საქმეზე არ შეედავებოდნენ? მკვლელობის საქმეს ხელიდან გაუშვებდა პროკურატურა? ვახტანგ კომახიძე კი გაიძახის, რამდენიმე მაღალჩინოსანმა აღიარა, თემურ ალასანიას უთქვამს, ცოტა ხანში ჟვანია ცოცხალი არ იქნებაო, მაგრამ კგბ-ს ასეთ გამოცდილ გენერალს, როგორადაც თემურ ალასანიას მოიხსენიებენ, ასეთი წამოცდენები ექნებოდა? კაგებეს გენერალს კი არა, კაგებეს სერჟანტსაც ასწავლიან, რომ ხმამაღლა ასეთი რამეები არ უნდა ილაპარაკოს. თემურ ალასანიაც, ეს კგბ-ს გენერალი, იმის ჩიტია, ისეთ ხალხთან ეთქვა, ზურაბ ჟვანია მალე ცოცხალი არ იქნებაო, ვისაც არ იცნობდა და მერე წინ დაუდებდნენ ამ ნათქვამს? აქ ხომ მკვლელობაზეა ლაპარაკი. კგბ-ში გენერლობას ისე არ აძლევდნენ, როგორც ჩვენთან, საქართველოში, შევარდნაძის დროს, როცა ყველა „მხედრიონელი“ გენერალი გახდა. თანაც, გაეროში მუშაობდა, განიარაღების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე იყო და ის ვერ ისწავლა, ენისთვის კბილი დაეჭირა?“ — აღნიშნა სოსო ცინცაძემ.

ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲚᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

რამაზ საყვარელიძე: წლეულს მკაფიოდ ამაღლდა საქართველოს საერთაშორისო დანიშნულება...

როცა ამდენი ცვლილება ხდება და თან ისე, რომ თვალსაჩინო დიდად არაფერია, ნიშნავს, რომ სერიოზული პრობლემაა

პანდემია, საპარლამენტო და თვითმმართველობის არჩევნები, საკადრო ცვლილებები, ექსპრეზიდენტის დაკავება, ყველაზე სასტიკი დამნაშავის მეგბის ქარდავას ექსტრადირება და „მოშიმშილე“ ოპოზიცია — ეს არის მხოლოდ მცირე ჩამონათვალი იმ მნიშვნელოვანი მოვლენებისა, რომლითაც გამოირჩევა 2021 წელი. საქართველოს ჰქონდა წარმატება, მაგრამ წარუმატებლობაც, ამ მხრივ საინტერესო იყო პარლამენტის თავმჯდომარის კახა კუჭავას პარლამენტიდან წასვლა, რომელიც შედარებით ხისტმა შალვა პაპუაშვილმა ჩაანაცვლა. მთავარი პოლიტიკური მოვლენები წინ გვაქვს და ამ მხრივ საკმაოდ დატვირთული იქნება იანვრის თვე, რადგან არაოფიციალური ინფორმაციით, პრემიერ-მინისტრი საზოგადოებას მნიშვნელოვან საკადრო ცვლილებას შესთავაზებს.

როგორი იყო 2021 წელი ქვეყნისთვის — ამ საკითხებთან დაკავშირებით პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე გვესაუბრება.

— ᲝᲠᲘ ᲬᲔᲚᲘᲐ მსოფლიო „კოვიდ 19“-თან ერთად ცხოვრობს და მათ შორის არის საქართველო, რომელსაც პანდემიის პირველ ეტაპზე ჰქონდა პროგრესი, მთავარ ინფექციონისტებს „სამ მუშკეტერსაც“ კი უწოდებდნენ, მაგრამ მალევე აღმოჩნდა, რომ სიკვდილიანობით ჩვენ გავუსწარით მეზობელ სახელმწიფოებს — სომხეთს და აზერბაიჯანს. შეიძლება ვთქვათ, რომ 2021 წელი წარუმატებელი იყო საქართველოსთვის პანდემიასთან ბრძოლის თვალსაზრით, მით უმეტეს, რომ ჩვენ გვაქვს საკმაოდ დიდი მსხვერპლი?

— საშინელი ციფრებია, რომელიც მართლა ვერაფერს ვერ შეედრება. აგვისტოს ომის მსხვერპლსაც გადააჭარბა პანდემიის მსხვერპლმა, რაც საეჭვოა რამეთი აიხსნას, გარდა ძალიან ბევრი ხარვეზისა ჯანდაცვის სისტემაში. როცა გავრცელება პროცენტულად არ არის იმხელა, რამდენიც სიკვდილიანობა, ეს მიუთითებს, რომ ჯანდაცვის სისტემა ვერ უძლებს, ვერ მიჰყავს დაავადება გამოჯანმრთელებამდე. სისტემა სუსტია რთული შემთხვევების ბოლო ფაზაში. თქვენ ახსენეთ „სამი მუშკეტერის“ ეტაპი, ეს ფენომენი იყო იმდენად, რამდენადაც მაშინდელი პრემიერ-მინისტრი, გიორგი გახარია ყურს უგდება ექიმებს და მოქმედებდა მათთან თანამშრომლობით.

აღნიშნავდნენ კიდეც გამყრელიძე და ცერცვაძე, რომ ძალიან დიდი ხელშეწყობა გვაქვსო. ამან გამოიღო ეს შედეგი. თუკი მეორე პლანზე გადაიტან ადამიანთა გადარჩენას, უკვე დიდი შანსია გაიზარდოს მსხვერპლი. თუკი ეკონომიკურ მხარეს წამოწევ წინ, კიდევ უფრო დიდი შანსია, რომ გაიზარდოს მსხვერპლი, ვინაიდან იზრდება მობილურობა და მოქალაქეთა მობილურობაში არსად არ არის შეზღუდვა. პროცესი მიდის იქითკენ, რომ ამერიკის ტიპის ყოფას ვეგუებით — ოღონდ ეკონომიკა ნუ ჩავარდება და მსხვერპლი იყოს...

— რაც შეეხება პოლიტიკურ ნაწილს, პოლიტიკური გადაწყვეტილებების თვალსაზრით რამდენად მნიშვნელოვანი და საინტერესო წელი იყო? შეიცვალა პრემიერ-მინისტრი, ორჯერ პარლამენტის თავმჯდომარე, შეიცვალა ჯანდაცვის მინისტრი, რომელიც დღეს „ქართულ ოცნებაში“ ჯანდაცვის მიმართულებას კურირებს და ამბობს, რომ აქედან უფრო მეტის გაკეთება შეუძლია პანდემიასთან ბრძოლის თვალსაზრისით, ვიდრე მინისტრის სავარძელიდან, რაც თითქმის გაუგებარი მოტივია...

— გეთანხმებით, ძალიან ბევრი ცვლილება განხორციელდა პოლიტიკურ არენაზე. საინტერესოა, თვითონ პანდემიის თემაც რა ტიპის ზეწოლას განიცდიდა პოლიტიკის მხრიდან. მცირე დროში იყო ორი არჩევნები — საპარლამენტო და რეგიონალური, რომელსაც თავისი მობილურობა ახლდა, ამას ემატება საპროტესტო აქციები, რაც პანდემიაზე რაღაცა გავლენას მოახდენდა. რაც შეეხება თვითონ პოლიტიკურ დატვირთვას, საზოგადოებაში გაჩნდა ოპტიმიზმი, რომ მესამე პოლიტიკური ძალის სახით მომწიფდებოდა გახარიას ჯგუფი, მაგრამ სამწუხაროდ, ის რაც გახარიას პლუსად ჩაითვალა, რომ მან დაუჯერა ექიმებს, ასეთი თვისება მერე უკვე არ გამოამჟღავნა. მისი შეცდომების პიკი იყო მერის არჩევნებისთვის ბრძოლაში ჩაბმა, რაც მას სჭირდებოდა და რომც გაემარჯვა, ამით არაფერი შეეცვლებოდა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. კიდევ ერთხელ მოელოდა მოსახლეობა მესამე პოლიტიკური ძალის გაჩენას, მაგრამ ისევ ჩაქრა.

იხ. 4 გვ.

აკაკი სიხარულიძე:

ჩვენი სამშობლო ჩვენი სახელმწიფოა!

1998 წელი იდგა. ჟურნალისტთა დამოუკიდებელი ფედერაციის (ყოფილი ჟურნალისტთა კავშირის) თავმჯდომარე გახლდით, თავკაცი იმ ორგანიზაციისა, რომელიც არასოდეს, არცერთი თეთრით არ დაფინანსებულა სახელმწიფოსგან. ამითაც ჩვენ კოლეგა კავშირებისგან განვსხვავდებოდით, რადგან დაფინანსების შემთხვევაში ხელი უნდა აგვეღო ნეიტრალიტეტზე და სახელმწიფოს მხარე იძულებით დაგვეკავებინა. ეს კი არანაირ ლოგიკაში არ ჯდებოდა და არც საერთაშორისო სათავო ფედერაცია შეგვინარჩუნებდა თავის რიგებში.

პირადი კონტაქტებით (90-იანების ურთულეს პერიოდში) ვახერხებდი სპონსორების მოძიებას, რომელთა შემოსავლებითაც ფინანსდებოდა სოციალური პროექტები, სხვადასხვა ღონისძიებები, შენობის კომუნალური გადასახადები, თანამშრომელთა ხელფასები და სხვა.

ამ წელს გალში ჩატარდა საცხენოსნო სპორტის ტრადიციული სანახაობა – მარულა. როგორც მაშინ პარლამენტის დეპუტატმა, ჩემმა მეგობარმა – გერმანე ფაცაციამ მითხრა, ღონისძიებას მასთან ერთად ესწრებოდნენ პარლამენტართა ჯგუფი. ეს სპორტული სანახაობა, რომელიც განსაკუთრებული ემოციურობით მიმდინარეობდა, აფხაზეთის დეფაქტო ლიდერებმა ქართველთა და აფხაზთა ინტეგრაციის გამოვლინებად მიიჩნიეს და სწორედ ამიტომ გამშვები პუნქტი ენგურის ხიდთან გადმოიტანეს. ამ ფაქტმა ისედაც აღშფოთებული ქართველობა კიდევ უფრო აღაშფოთა. ქვეყანაში არსებული მრავალი სერიოზული პრობლემის (ტერიტორიული მთლიანობა, ლტოლვილთა პრობლემები, უშუქობა, მწვავე ეკონომიკური კრიზისი პოსტსაბჭოთა მოვლენების ფონზე) ირგვლივ პოლიტიკურ ძალებსა და საზოგადოებას დიამეტრალურად განსხვავებული, პრინციპული მოსაზრებები ჩამოუყალიბდა და მოხდა მისი მკვეთრი პოლარიზაცია. რეფორმატორთა კავშირის თავმჯდომარესთან, ბაკურ გულუასთან ერთად გადავწყვიტეთ შეგვექმნა ეროვნული თანხმობის დარბაზი რომელიც გააერთიანებდა იმ დროს მოქმედ ყველა პოლიტიკურ ძალას, შემოქმედებითი ინტელიგენციის გარკვეულ წარმომადგენლებს.

ყოველივე ეს მრავალთათვის, დასაწყისში, ფანტაზიის სფეროს განეკუთვნებოდა. შემდგომში, მართლაც განცვიფრებას იწვევდა ერთ ოთახში, ერთ მაგიდასთან

ფიქრები ეროვნულ თანხმობაზე

გვერდიგვერდ მჯდარი, მიხეილ მაჭავარიანი, ნოდარ ნათაძე, თენგიზ კიკაჩეიშვილი, ვახტანგ ბოჭორიშვილი, გიგა არველაძე, აკაკი ასათიანი, შოთა ნიშნიანიძე და მრავალი სხვა...

ორკვირიანი სატელეფონო საუბრებისა თუ პირადი შეხვედრების შემდეგ, მე და ბაკურმა ეს შევძელით. მახსენდება, როგორ გაგვიჭირდა ვახტანგ ბოჭორიშვილის დაყოლიება: რამდენიმე სატელეფონო საუბრის შემდეგ ვეახელით ინფექციურ საავადმყოფოში, უარით გამოსტუმრების შემდეგ კვლავ შევხვდით და კვლავ ავუხსენით, რა მნიშვნელოვანი იყო მისი მონაწილეობა ამ დარბაზისთვის და აქედან გამომდინარე, ქვეყნისთვის. ასევე გაჭირდა შოთა ნიშნიანიძის (ყველაზე ნეიტრალური თვალსაჩინო პოეტის) დათანხმება ეროვნული თანხმობის დარბაზის საპატიო თავმჯდომარედ არჩევასთან დაკავშირებით. ეროვნულ შერიგებაზე, თანხმობაზე ჯერ კიდევ 1995 წელს იუწყებოდა გაზეთ „სამშობლო ფორტეს“ ერთ-ერთი ნომერი (დამფუძნებელი – ნუგზარ ფოფხაძე), რასაც გარკვეული გამოხმაურება მოჰყვა იმდროინდელ პრესაში, მაგრამ მალევე ჩაქრა ეს იდეა.

მოკლედ, ეროვნული თანხმობის დარბაზი შედგა. პირველ შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო 18 პოლიტიკური პარტია. მათ გავაცანით დარბაზის მნიშვნელობა, მიზნები და ამოცანები, რომ ერთად, ურთიერთშეთანხმებით, სერიოზულ არგუმენტებზე დაყრდნობით უნდა გადაგვწყვიტა სხდომაზევე მიღებული დღის წესრიგით განსაზღვრული, ქვეყნისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი პრინციპული საკითხები, მაგალითად ისეთები, როგორიცაა: მნიშვნელოვანი კონსტიტუციური ცვლილებები და აქედან გამომდინარე საჭირო, აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გადასადგმელი ნაბიჯები, ქვეყნის ტერიტორიული მოწყობა, ადმინისტრაციული საზღვრები, ოკუპირებულ ტერიტორიებთან და ლტოლვილებთან დაკავშირებული არაერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, საარჩევნო საკითხები, მათ შორის დარბაზის წარმომადგენლის ცესკოში დანიშვნა და სხვა მრავალი. თითოეულ საკითხს მსჯელობებისა და გადაწყვეტილებებისთვის სჭირდებოდა სამი, ოთხი, ხან მეტი სხდომა. შემდეგი სხდომის დღის წესრიგიც ამავე სხდომაზე შეთანხმებით და კენჭისყრით მტკიცდებოდა. ვინ იქნებოდა მომხსენებელი, ამასაც მაგიდასთან ვწყვეტდით. უფრო ხშირად ამ მისიას თქვენი მონა-მორჩილი ასრულებდა. სხდომები ყოველკვირეული იყო და წელიწადზე მეტხანს გაგრძელდა. გარკვეული დროის შემდეგ აღვადგინეთ ეროვნული თანხმობის დარბაზის ფუნქციონირება. გვყავდა მრავალი მხარდამჭერი, კეთილად განწყობილი, თითო-ოროლა ხელისშემშლელიც, კარის გამჯახუნებელიც, ამრევიც, ერთი-ორი მოგზავნილ-შემოგზავნილიც არ მოგვკლებია.

საკმაოდ რთულმა, მძიმე შრომამ ნაყოფი გამოიღო – დავდეთ საკმაოდ სქელტანიანი გადაწყვეტილებათა პაკეტი, რომელიც ვაახლეთ ჯერ საქართველოს პარლამენტს (ზურაბ ჟვანია), შემდეგ კი პრეზიდენტს – ედუარდ შევარდნაძეს.

პაკეტში წარმოდგენილი 14 საკითხიდან გათვალისწინებული და მიღებულ იქნა 12 საკითხი – დაწყებული 1991-1992 წლების მოვლენების პოლიტიკური შეფასებიდან, დამთავრებული ცესკოში დარბაზის წარმომადგენლის დანიშვნით.

ყველა დეტალს, რა თქმა უნდა, ვერ და არ მოვყვები, თუმცა, ერთი რამ გაბედულად შემიძლია ვთქვა: იმ პერიოდში პოლიტიკური კლიმატის შემქმნელი 18 პოლიტიკური პარტიიდან, მიუხედავად ყველაფრისა, თითქმის ყველამ შეძლო გვერდით გადაედო მოჭარბებული ამბიციები, ურთიერთვერგატანა და დაპირისპირება, ზოგჯერ საკუთარ მოსაზრებებსაც თმობდნენ სხვათა არგუმენტირებული მოსაზრებების გამო. გადაწყვეტილებები მიიღებოდა სახელმწიფოსთვის, ზოგისთვის კი, სამშობლოს პრინციპებიდან გამომდინარე.

დღეის მდგომარეობით შემიძლია ვთქვა, პოლარიზება მინიმუმ შესამცირებელია, ილუზიები არ მაქვს, მითუმეტეს ეროვნული თანხმობის საკითხებზე მომუშავე, მედიაციის გამოცდილების მქონეს, სრული ეროვნული თანხმობა, თუნდაც რამდენიმე პრინციპულ საკითხზე – ურთულესი მისაღწევია, მაგრამ სასწრაფოდ დასაწყებია.

აკაკი სიხარულიძე,
1998 წელს შექმნილი საქართველოს ეროვნული თანხმობის დარბაზის სპიკერი, მასკომუნიკაციის დოქტორი, ღირსების ორდენოსანი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.

რამაზ საყვარელიძე: წლეულს მკაფიოდ ამაღლდა საქართველოს საერთაშორისო დანიშნულება...

(მესამე გვერდიდან)

– შანსის ჩაქრობა მნიშვნელოვანი დანაკლისია მიმდინარე პოლიტიკური პროცესისთვის?

– სამაგიეროდ გაჩნდა რამდენიმე პროცესი, რომლის შედეგადაც ოპოზიციამ დაკარგა ძალიან ბევრი. უამრავი შეცდომა დაუშვეს. ვნახეთ, რომ საქართველოში ჩამოყვანილმა სააკაშვილმაც ვერ გააძლიერა საზოგადოებაში საპროტესტო მუხტი საიმისოდ, რომ ეს დიდად დასტყობოდა ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებას. მიტინგებიც კი არ ჰქონდათ მასშტაბური, თუმცა იმუქრებოდნენ. დიდი პერსპექტივის მქონე არ არის არც შიმშილობის აქცია, რომელსაც ახლა მართავენ. შიმშილობის აქციით პოლიტიკური შედეგი ძალიან იშვიათია. თუკი ვიღაცების შიმშილობა პოლიტიკურ პროცესს ეხმარება ხოლმე, იქ, იმ შემთხვევაში სხვა ფაქტორები მოქმედებენ. თავისთავად, შიმშილობა პოლიტიკას რომ ცვლიდეს, არჩევნებს და პოლიტიკურ ბრძოლას გვერდზე გადადებდა ხალხი და შიმშილობაში შეეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ასეთი რამ კი არ ხდება. არც ახლა წამოწოლილი ადამიანების შიმშილობა იქნება პოლიტიკურად რამე შედეგის მომტანი. მთლიანობაში, ოპოზიციისთვის ეს პერიოდი მარცხიანი პერიოდი იყო.

ვერ ვიტყვი, რომ „ქართული ოცნებისთვის“ გამარჯვების პერიოდი იყო. თვითონ „ოცნებაში“ ბევრი რამ მოუგვარებელია და ამას ადასტურებს როგორც მინისტრების ცვლილებები, ასევე უფრო მნიშვნელოვანი, ალბათ, პარლამენტის თავმჯდომარეების შეცვლაა. როცა ამდენი ცვლილება ხდება და თან ისე, რომ თვალსაჩინო დიდად არაფერია, ნიშნავს, რომ სერიოზული პრობლემაა. ტიკარაძის შემთხვევაში ის მაინც იყო, რომ კრიზისია კოვიდთან ბრძოლაში და ლოგიკურია ჯანდაცვის მინისტრის მოხსნა. დანარჩენი არც ერთი საკადრო ცვლილება ამ დისტანციიდან გასაგები არ არის. როცა გაუგებარი მიზეზებით ხდება ცვლილებები, ე.ი. პოლიტიკურ ჯგუფში ხდება დაპირისპირება. ამიტომ, ზედაპირზე ვხედავთ რაღაცას, მაგრამ გასაგები არ არის – რას.

– რაც შეეხება სამართლებრივ მხარეს, ამ მხრივ ხმაურიანი იყო მოსამართლეთა დანიშვნის საკითხი, რამაც აშშ-ის ელჩის გულისწყრომა გამოიწვია და მათ შორის ევროკავშირის. ასევე მნიშვნელოვანი იყო მეგის ქარდავას ექსტრადირება, ვიცით, რომ იგეგმება გენერალური შტაბის უფროსის გიგი კალანდაძის ექსტრადირება. დაკავებულია ექსპრეზიდენტი. სამართალი და გამოძიება ეს არის ის სფერო, რისთვისაც ხელისუფლებას ძალიან ხშირად აკრიტიკებენ და ამ ნაწილში ხშირად საყვედურობენ კოჰაბიტაციის პროცესის გამო, რაც არ იყო სწორი ფორმა პოლიტიკურ ოპონენტთან თანამშრომლობის კუთხით...

– სწორი ბრძანდებით. მიჭირს რამე თავდაჯერებულად ვთქვა, იმიტომ, რომ არ ვარ სისტემის ისეთი მცოდნე, როგორიც სჭირდება მის შეფასებას. მით უმეტეს რთული სისტემაა. ჩემთვის დიდი ხანია გაუგებარია, რატომ იხდის თავს სალანძღავად „ქართული ოცნება“ და რატომ არ იცავს იმ მოთხოვნებს, რომლითაც სრულიად განახლდება მოსამართლეთა კორპუსი?! ოპოზიცია იძახის, რომ მართვადი მოსამართლეები სჭირდებათო, მაგრამ ეს დამაჯერებელი არ არის. იმიტომ, რომ თუ მოისურვა ხელისუფლებამ, მართვად მოსამართლეებს ყოველთვის შექმნის. დედის მუცლიდან ხომ ამ გამოჰყვა ეს მოსამართლეები საკაშვილს, მან გახადა მართვადი.

ამიტომ, მართვადობის მოტივი გაუგებარია. სხვა მოტივი არ ჩანს. არის ვერსიები, რომ „ქართულ ოცნებაში“ დაწინაურებული იურისტები და მათ შორის კონსტიტუციონალისტებიც კი, ხელს უწყობენ და ლობირებენ ამ ჯგუფს და ამიტომ არიან ხელშეუხლებლები, ამიტომ ხდება ამდენი საყვედურის მოსმენა უცხოელებისგან. თქვენ ამერიკა ახსენეთ და ამ მხრივ არავის არ დაუკლია კრიტიკა. მცირეოდენი დადებითი შეიძლება იყოს ქარდავას ექსტრადირება, ასევე საკაშვილის გატუსაღება, რომელიც ნორმალურად წავიდა. გამოძიების ოპერატიული მხარე შიგადაშიგ აშკარად უკეთესად გამოიყურება.

– რაც შეეხება საგარეო მიმართულებას. დავშორდით ევროპას და ნატოს, თუ პირიქით, დავუახლოვდით?

– უნიკალური მოვლენები ვნახეთ. საგარეო ურთიერთობების თვალსაზრისით, საქართველოს ბედ-იღბალში ჩართული იყვნენ ევროპული პოლიტიკის უმაღლესი ეშელონები. ჩაერთვნენ, ჩაერივნენ, მოაწესრიგეს. მართალია, ცუდად მოაწესრიგეს, მერე გაირკვა, რომ ხარვეზიანი იყო დოკუმენტი, მაგრამ უკან არ დაუხევიათ და დიდი ენთუზიაზმით ჩაერთვნენ. ერთი რამ ცხადი ხდება - ყირიმისა და ყარაბახის პრობლემების სათავისოდ მოგვარების შემდეგ, რუსეთმა ძალიან გააძლიერა შავი ზღვის ამ რეგიონში თავისი გავლენა. შესუსტდა დასავლეთის გავლენა. ერთი მხრივ შესუსტდა და მეორე მხრივ კიდევ უფრო მძაფრად დაუპირისპირდა ამ რეგიონში რუსეთს.

ასეთ დაპირისპირებაში დასავლეთისთვის ერთადერთი დასაყრდენი არის საქართველო. თურქეთიც დიდად სანდო არ არის. ამ საგარეო პროცესის პროდუქტი იყო ის, რომ ევროპულმა პოლიტიკოსებმა ამხელა ყურადღება მიაქციეს იმას – არის თუ არა დესტაბილიზაცია საქართველოში. ხაზიც გაუსვეს, რომ დესტაბილიზაცია აწყობს რუსეთს. ოპოზიციას უთხრეს, რომ თქვენ რუსეთის წისქვილზე ასხმათ წყალსო. დასავლეთის და რუსეთის ბრძოლის ფრონტი გადმოვიდა საქართველოზე და უკრაინაზე. ფაქტია, რომ დღეისთვის ეს თემები მწვავეა ისევე როგორც არასდროს. ამავე დროს არ ვიცით, რა პოზიციას დაიკავებს დასავლეთი – რუსეთთან უპრობლემო ურთიერთობა ექნება და წავა კომპრომისსზე, თუ იქნება უკომპრომისო. დღეს მთელი მსოფლიო ამას ელოდება. ამ მომენტამდე განვლილი წელი იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ საქართველოს როლი უფრო მკაფიოდ და შთამბეჭდავად გამოჩნდა.

ესაუბრა
თამთა ქარჩავა

ტალი ტალიაშვილი – საგზაო დარგის აღიარებული პროფესიონალი

საქართველოს მეგზევეთა საზოგადოების მრავალათასიანი გაერთიანება გულითადად ულოცავს დაბადებიდან **80** წლის იუბილეს და დამდეგ 2022 წელს საგზაო დარგის ერთ-ერთ გამორჩეულ, მაღალკვალიფიციურ ინჟინერს და საგზაო დარგის დღესაც მოქმედ მაღალი რანგის პროფესიონალს, ბატონ **ტალი ტალიაშვილს** და უსურვებს მას პირველ რიგში ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და შემდგომ შემოქმედებით საქმიანობას საკუთარი ოჯახის, საგზაო დარგის და ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

დაამთავრა რა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სატრანსპორტო ფაკულტეტი – სპეციალობით „ხიდები და გვირაბები“ – კვალიფიკაციით ინჟინერ-მშენებელი, 1966 წლიდან მუშაობას იწყებს საქართველოს საავტომობილო გზების სამინისტროს სისტემაში სპეციალიზებულ ხიდებისა და გზების სამშენებლო სამმართველოებში, სამუშაოთა მწარმოებლის, უფროს სამუშაოთა მწარმოებლის და მთავარი ინჟინრის თანამდებობებზე.

ტალი ტალიაშვილის უშუალო ხელმძღვანელობით აშენებულია საგზაო დარგის ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი ობიექტები: საერთაშორისო მნიშვნელობის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ხიდი მდ. მტკვარზე ქ. თბილისთან და ხიდი მდ. არაგვზე ქ. მცხეთასთან; გაგრა-განთიადის საავტომობილო გზის მონაკვეთზე მან ააგო საავტომობილო გზის ხიდების და ესტაკადების მრავალი ერთეული. საავტომობილო გზაზე ქუთაისი-ბაღდათის მონაკვეთზე, მდ. რიონზე საავტომობილო სახიდე გადასასვლელიც მისი აშენებულია.

1977 წლიდან იგი სათავეში ჩაუდგა საპროექტო საკვლევაძიებო ინსტიტუტს „ტრანსპროექტი“ და დღემდე მისი გენერალური დირექტორია. საპროექტო ორგანიზაციის ხელმძღვანელობის პერიოდში მან გამოიჩინა ნოვატორული მიდგომები საგზაო ინფრასტრუქტურის პროექტირების კუთხით, დროულად განახორციელა საპროექტო ორგანიზაციის გადაიარაღება თანამედროვე მოთხოვნების დონეზე და იგი ათეულობით წლების განმავლობაში იყო დარგის ერთ-ერთი წამყვანი საპროექტო ორგანიზაციის უცვლელი ხელმძღვანელი და დღესაც წარმატებით აგრძელებს შრომით საქმიანობას იმავე თანამდებობაზე. იგი გამოირჩევა თავისი პრინციპულობით და მომთხოვნელობით, მისი ხელმძღვანელობით ორგანიზაციაში გაიზარდა მრავალი ახალგაზრდა, მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომლებიც დღეს დამოუკიდებლად აგრძელებენ შრომით საქმიანობას საგზაო ინფრასტრუქტურის პროექტირების თვალსაზრისით.

ტალი ტალიაშვილის უშუალო ხელმძღვანელობით და მონაწილეობით საპროექტო ინსტიტუტმა განახორციელა როგორც საერთაშორისო, ისე შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და მათზე განლაგებული ხელოვნური ნაგებობების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება.

მათ შორის უნდა აღინიშნოს:

საქართველოს ჩქაროსნული ავტომაგისტრალის თბილისი-რუსთავის 17კმ-იანი მონაკვეთი; ნატახტარი-აღაიანის 16 კმ-იანი მონაკვეთი; ხევი-უბისა-შორაპანი-არგვეთას 42 კმ-იანი მონაკვეთი; ზესტაფონი-ქუთაისი-სამტრედიის 58კმ-იანი მონაკვეთი; სამტრედია-ლანჩხუთი-გრიგოლეთის 52 კმ-იანი მონაკვეთი; ქ. ქობულეთის შემოვლითი გზის მონაკვეთი. აბასთუმნის შემოვლითი საავტომობილო გზის 16 კმ-იანი მონაკვეთი; ზუგდიდი-ჯვარი-მესტიის საავტომობილო გზის 78-139 კმ-იანი მონაკვეთი; ზუგდიდი-ჯვარი-მესტიის საავტომობილო გზის 116 კმ-იანი მონაკვეთი; ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის 83-129 კმ-იანი მონაკვეთი. „ამბროლაურის აეროდრომი და სააეროდრომო ინფრასტრუქტურის მშენებლობის პროექტი“, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტების ფარგლებში მრავალი ასეული კილომეტრი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ანაკლიაში, მდ. ენგურზე, ფეხით მოსიარულეთა უნიკალური ხის ხიდის პროექტირება და სხვა მრავალი სამშენებლო პროექტი.

ტალი ტალიაშვილი არის საქართველოს დამსახურებული მშენებელი, დამსახურებული მეგზევე. წლების განმავლობაში, 1977 წლიდან დღემდე, საქართველოში საავტომობილო გზების რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციის პროგრამის დამუშავებისათვის, აგრეთვე, კვლევა-ძიების და დაპროექტების საქმის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის მიღებული აქვს არაერთი სამთავრობო ჯილდო, საპატიო წოდება და სიგელები, მათ შორის ორგზის „საქართველოს ღირსების ორდენი“, „საქართველოს საპატიო მეგზევისა“ და „საქართველოს მშენებლობის დამსახურებული მუშაკის“ წოდებები; 2003 წელს არჩეულ იქნა საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის აკადემიკოსად.

კიდევ ერთხელ გილოცავთ, ბატონო **ტალი** დაბადებიდან **80** წლის იუბილეს, გისურვებთ დიდ ბედნიერებას ოჯახის წევრებთან ერთად და დაუღალავ შემოქმედებით საქმიანობას საგზაო დარგში.

თამაზ შილაკაძე,
აკადემიკოსი, საქართველოს მეგზევეთა საზოგადოების თავმჯდომარე

ღმერთო, გაამთლიანე საქართველო!

ძვირფასო თანამემამულენო! საუკეთესო სურვილებით გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს, ღვთისმშობლის წილხვედრ ჩვენს ულამაზეს ქვეყანას უფლის წყალობა მოჰფენოდეს.

ველოდებით სასოებით,
იმ ჟამსა და იმ პერიოდს,
ღმერთო, მალე მოგვასწარი,
გაბრწყინებულ იბერიონს!



დიდება მაღლა ღმერთს, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება!

ღმერთო, გაამთლიანე და გადაარჩინე საქართველო!

გურამ სალარაძე,
ვაკის მაცხოვრის ფერიცვალების ტაძრის სტიქაროსანი.

დავით ზალკალიანი:

მჭიდრო კავშირს ვინარჩუნებთ ქვეყნიდან გასულ მოქალაქეებთან...

27 დეკემბერს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით გაიმართა განსაკუთრებული ღვაწლის მქონე დიასპორის წარმომადგენლების დაჯილდოების ოფიციალური ცერემონია, რომელიც ვიცე-პრემიერმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა გახსნა.

საქართველოს საგარეო უწყების ცნობით, მინისტრმა მიულოცა გამარჯვებულ დიასპორელებს და მადლობა გადაუხადა ევროკავშირს, რომლის ფინანსური მხარდაჭერითაც, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრთან (ICMPD) ერთად, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ENIGMMA 2-ის (მიგრაციის მართვის მდგრადობის ხელშეწყობა საქართველოში) პროგრამის ფარგლებში ახორციელებს პროექტს „საქართველოს მაღალპროფილური დიასპორის ჩართულობა“.

„მინდა, გამოვხატო პატივისცემა საზღვარგარეთ მოღვაწე ქართული დიასპორის თვალსაჩინო წარმომადგენლების მიმართ, რომლებსაც განსაკუთრებული წვლილი შეაქვთ ჩვენი ქვეყნის წინსვლასა და განვითარებაში, საზღვარგარეთ საქართველოს წარმოჩენასა და პოპულარიზაციაში. დიასპორის მიმართ სწორი და ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავება საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა, რომელიც ასევე, წარმოადგენს ევროკავშირთან ინტეგრაციის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს და ხელს უწყობს ქვეყნის აღმშენებლობაში თანამემამულეთა პოტენციალის გამოყენებას“, – განაცხადა დავით ზალკალიანმა.

წლის საუკეთესონი

ვასო აბაშიძის სახელობის ახალი თეატრის მცირე დარბაზში კულტურის სამინისტროს მიერ დაფუძნებული ლიტერატურული კონკურსის „წლის საუკეთესო“ გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონია გაიმართა.

ღონისძიებას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, საკანონმდებლო ხელისუფლებისა და სახელოვნებო წრეების წარმომადგენლები დაესწრნენ.

გამარჯვებულები გამოვლინდნენ შემდეგ ნომინაციებში:

1. **„წლის საუკეთესო რომანი“** გამარჯვებული – **გელა ჩძვანავა,** „კადრილი“;
2. **„წლის საუკეთესო პოეტური კრებული“** გამარჯვებული – **ნიკოლოზ ჯორჯანელი,** „ნეტფლიქსი“;
3. **„წლის საუკეთესო პროზაული კრებული“** გამარჯვებული – **ნინო ძადაგიძე,** „მინიატურები“;
4. **„წლის საუკეთესო პიესა“** გამარჯვებული – **ელენე მაცხონაშვილი,** „ყვავი რო მოვა“.

გამარჯვებულთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიის რეჟისორი იყო მანანა ბერიკაშვილი. ღონისძიებას, რომელიც მუსიკალურად გააფორმა ჯგუფმა „ქვინთესენსი“, უძღვებოდნენ ვასო აბაშიძის ახალი თეატრის მსახიობები – არჩილ სოლოღაშვილი, ბუბა გოგორიშვილი, ტატო ჩახუნაშვილი, ნინო მითაიშვილი.

შეგახსენებთ, ლიტერატურული პრემია „წლის საუკეთესო“ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერითა და საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ქეთევან დუმბაძის ინიციატივით წელს დაფუძნდა. მისი მიზანია ქართული ლიტერატურის განვითარების ხელშეწყობა; ქვეყანაში საგამომცემლო სექტორის მხარდაჭერა; ხელოვანთა შემოქმედებითი საქმიანობის წახალისება; ქართველი ავტორების პოპულარიზაცია და ახალი, ნიჭიერი ავტორების გამოვლენა. კონკურსის ფარგლებში სამინისტროში 82 განაცხადი შემოვიდა. მათგან 79 საკონკურსო განაცხადი წარმოდგენილი იყო ავტორების, ხოლო სამი – გამომცემლობების მიერ. თითოეულ ნომინაციაში პრემიის ოდენობა შეადგენდა 5 000 ლარს.

2022-ში ბიზნესის ხელშეწყობა „სრული სვლით“ გაგრძელდება

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, 27 დეკემბერს მთავრობის ადმინისტრაციაში მთავრობის სხდომა გაიმართა. მინისტრთა კაბინეტმა დღის წესრიგით გათვალისწინებული 19 საკითხი განიხილა.

მთავრობის გადაწყვეტილებით, საქართველოს ოთხ რეგიონში – კახეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო-სვანეთში, იმერეთსა და გურიაში „საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა“ განხორციელდება.

მიზნობრივ რეგიონებში მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით დაფინანსდება ახალი საწარმოების შექმნა, არსებული საწარმოების გაფართოება ან გადაიარაღება. დაფინანსება მოიცავს საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების მიერ პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხის თანხის 24 თვის საპროცენტო განაკვეთის სრულ დაფინანსებას და ასევე სესხის თანხის არაუმეტეს 30%-ის საგრანტო დაფინანსებას.

მიზნობრივი რეგიონებიდან პოტენციური ბენეფიციარის მიერ წარდგენილი პროექტის ჯამური ღირებულება (გასაცემი სესხის თანხა) უნდა შეადგენდეს არანაკლებ 300 000 ლარს და არაუმეტეს 1 მლნ ლარს. პროგრამას სოფლის განვითარების სააგენტო განახორციელებს.

ამასთან, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სახელმწიფო პროგრამაში – „აწარმოე საქართველოში“, საკრედიტო-საგარანტიო სქემის, ინდუსტრიული, მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის, სასტუმროს ინდუსტრიის, ექსპორტის ხელშეწყობის მიმართულებით რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება განხორციელდება.

მიკრო და მცირე მეწარმეობის საგრანტო ხელშეწყობის მიმართულებაში, მომავალი წლიდან პრიორიტეტი მიენიჭება შშმ პირთა მიერ ბიზნესის წამოწყება/გაფართოებასა და ასევე ახალგაზრდა მეწარმე სუბიექტის მიერ ბიზნესის წამოწყება/გაფართოებას; ამავე მიმართულებაში, ევროკავშირის დახმარებით, განისაზღვრება საპილოტე რეგიონები – იმერეთი, კახეთი, გურია, რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი და გაიზრდება ბენეფიციარებისთვის გასაცემი გრანტების მოცულობაც – საპილოტე რეგიონებში ეს იქნება 40 000 ლარი, ხოლო სხვა რეგიონებში – 30 000 ლარი.

გარდა ამისა, პროგრამას „აწარმოე საქართველოში“ დაემატება ექსპორტის ტექნიკური დახმარების ნაწილი, რომელიც მოიცავს 3 კომპონენტს – პროდუქტის ლიცენზირება/სერტიფიცირება, მიმართულება დაფინანსდება 20 000 ლარით; მეორე – ბრენდინგი და პროდუქციის შეფუთვა – დაფინანსდება 20 000 ლარით; მესამე – საერთაშორისო გაყიდვების სტიმულირება დაფინანსების ოდენობა 10 000 ევროს ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში;

ასევე, ერთი წლით გახანგრძლივდება პროგრამის უნივერსალურ, ინდუსტრიულ ნაწილში განაცხადების მიღების ვადა; ამ კომპონენტში შესაძლებელი გახდება საინვესტიციო ფონდების მონაწილეობაც, ანუ მათაც მიეცემათ შესაძლებლობა გასცენ სუბსიდირებული სესხი; სასტუმროს მინიმალური, საგალდებულო ნომრების რაოდენობა განახევრდება და ათის ნაცვლად იქნება ხუთი.

„სასტუმროს და ბალნეოლოგიური კურორტების ინდუსტრიის“ მონაწილე ბენეფიციარებს, რომლებსაც წარმოების დაწყების ვადა ეწურებათ მიმდინარე წლის ბოლოს, პანდემიის გათვალისწინებით, ოპერირების დაწყების ვალდებულება გადაუვადდებათ ერთი წლით. ასევე გახანგრძლივდება კინოინდუსტრიის ხელშეწყობის კომპონენტში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღების ვადა 2022 წლის 3 იანვრიდან 2022 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით. ამავე პერიოდით გაგრძელდება „საკრედიტო საგარანტიო სქემით“ სარგებლობის ვადაც.

საქართველოს მთავრობამ ასევე დაამტკიცა ორი განკარგულება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ, რომელთა მიხედვით, 107 ფიზიკურ პირს ქალაქ რუსთავში, ხოლო 25 ადამიანს ქალაქ მარნეულში, სიმბოლურ ფასად – ერთ ლარად საკუთრებაში გადაეცემათ და დაუკანონდებათ მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართები.

თბილისის 2022 წლის ბიუჯეტი მილიარდ-ნახევარს აჭარბებს!

დედაქალაქის საკრებულომ 27 დეკემბერს თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცებაზე იმსჯელა. ბიუჯეტი წარმომადგენლობით ორგანოში თბილისის ვიცე-მერმა ირაკლი ხმალაძემ წარადგინა.

ირაკლი ხმალაძის განცხადებით, თბილისის 2022 წლის ბიუჯეტი ჯამში მილიარდ 545 მლნ ლარი იქნება და ის სწორედ იმ პროგრამებსა და პროექტებზე გადანაწილდება, რომელთა განხორციელებასაც თბილისის მერი მოსახლეობას დაჰპირდა.

„თბილისში განსახორციელებელი პროექტებისა და პროგრამების ჯამი გახლავთ მილიარდ 545 მლნ ლარი. აქედან საბიუჯეტო ნაწილი არის მილიარდ 305 მლნ ლარი, ხოლო დანარჩენი სესხის ნაწილი შეადგენს 240 მლნ ლარს. საშემოსავლო ნაწილი ეს არის პრივატიზაცია – 75 მლნ ლარი; საგადასახადო შემოსავლები არის 757 მლნ ლარი, მათ შორის, 210 მლნ არის ქონების გადასახადი, ხოლო 547 მლნ არის დამატებული ღირებულების გადასახადი; სპეციალური ტრანსფერი, რომელსაც ცენტრალური ხელისუფლება აძლევს მუნიციპალიტეტს, არის 225 მლნ ლარი, რომელიც მიმართულია პირდაპირ პროექტებზე, ხოლო დამატებული ღირებულების გადასახადის მომსახურების მიზნით 43 მლნ 500 ათასი ლარი. სხვა შემოსავლები შეადგენს 203 მილიონს“, – განაცხადა თბილისის ვიცე-მერმა. მისი თქმით, ბიუჯეტში სატრანსპორტო სისტემის მოწესრიგებისთვის 175 მლნ ლარია გათვალისწინებული.

„რაც შეეხება ხარჯვით ნაწილს, საგზაო ინფრასტრუქტურისთვის გამოყოფილია 87 მლნ ლარი, მათ შორის, რაიონული საგზაო ინფრასტრუქტურისთვის 52 მლნ ლარი, ხოლო ცენტრალური საგზაო ინფრასტრუქტურისთვის 35 მლნ ლარი. სატრანსპორტო სისტემის მოწესრიგებისთვის 175 მლნ ლარი, ინფრასტრუქტურის სამუშაოები, კეთილმოწყობა და თბილისის განვითარების ფონდის მიმართულება – 260 მლნ ლარის ხარჯებია გათვალისწინებული. ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება – 167 მლნ ლარი, ჯანდაცვის მიმართულებით 176 მლნ ლარი, ჯამში 20 მლნ ლარით არის გაზრდილი“, – განაცხადა ირაკლი ხმალაძემ. მისივე თქმით, განათლების მიმართულებით გამოყოფილია 208 მლნ ლარი, მათ შორის, 145 მლნ ლარი გათვალისწინებულია ბაგა-ბაღების დაფინანსებისთვის, როგორც ბაღების მართვისთვის, ასევე, ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის.

როგორც თბილისის ვიცე-მერმა განაცხადა, კულტურის, განათლებისა და სპორტის მიმართულებით გამოყოფილია 49 მლნ ლარი.

დასუფთავების მოსაკრებელიც იზრდება!

2022 წლის 1 იანვრიდან მხოლოდ ბიზნეს-სექტორისთვის, დაწესებულებებისთვის და სუბიექტებისთვის, რომლებიც მომგებიან საქმიანობას ეწევიან, დასუფთავების მოსაკრებელი შეიცვლება. თბილისის ვიცე-მერის ირაკლი ხმალაძის ინფორმაციით, ტარიფი საყოფაცხოვრებო სექტორისთვის უცვლელი რჩება.

საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ დასუფთავების მიმართულებით მუნიციპალიტეტი მნიშვნელოვან სუბსიდიას ახორციელებს, თუმცა არ გვგონია, რომ მუდმივად უნდა ვასუბსიდიროთ ბიზნეს-სექტორი, შესაბამისად, ვიღებთ გადაწყვეტილებას, რომ მათი მოსაკრებელი იყოს ზუსტად იმდენი, რამდენიც იხარჯება მათთვის მომსახურების სახით.

„დღესდღეობით 70% „თბილსერვისის“ დანახარჯები ბიზნეს სექტორის მომსახურებას ემსახურება, ხოლო დანარჩენი 30% საყოფაცხოვრებო სექტორს. პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ იმის ნახევარია დარიცხვა ბიზნესზე, ვიდრე მათი მომსახურებისთვის იხარჯება. ამდენი წელი ეს პრაქტიკა იყო, მაგრამ მიმაჩნია, რომ ახლა არის დრო, როდესაც საკრებულომ უნდა განიხილოს მოსაკრებლის გადახედვის საკითხი, უნდა გაიზარდოს და მათი გადახდილი თანხა გაუტოლდეს იმდენს, რამდენიც იხარჯება მათი მომსახურებისთვის“, – განაცხადა ხმალაძემ.

დროებითი შეღავათი ექნებათ ტურისტულ ობიექტებს. მათ დასუფთავების გადასახადისთვის 1000-ლარიან ერთჯერად ვაუჩერებს გადასცემენ.

„შემოდის 1000-ლარიანი ვაუჩერები ტურისტული ობიექტებისთვის, ესენია კვების ობიექტები და სასტუმროები. მათ შეეძლებათ ერთი წლის განმავლობაში ისარგებლონ ამ სუბსიდიით და შემდეგ დაიწყონ გადახდა. ამ სუბსიდიას მუნიციპალიტეტი გამოყოფს სუბიექტების სასარგებლოდ“, – განაცხადა ხმალაძემ.

ბიზნესისთვის მომატებული დასუფთავების მოსაკრებლის სახით, გადახდილი გადასახადები 17 მლნ ლარით გაიზრდება. მერიაში ამბობენ, რომ გაზრდილი გადასახადი მოხმარდება „თბილსერვისის“ თანამშრომლების ხელფასებს, ტექნიკის განახლებისა და სხვა საკითხებს.

„ყველა ორგანიზაციას სხვადასხვანაირად ერიცხება გადასახადი და ყოველთვიური გადასახადი შეიძლება 20 ლარით გაიზარდოს. მთლიანობაში, ბიზნეს-სექტორზე დარიცხული დავალიანება გაიზრდება 17 მლნ ლარით. ამ თანხას აქამდე მუნიციპალიტეტი ასუბსიდირებდა და არ მიგვაჩნია სწორად, მომგებიანი ბიზნესი მუდმივად ვასუბსიდიროთ“, – განაცხადა ხმალაძემ.

მერიის პრობლემა გასაგებია, მაგრამ მეორე საკითხია, პანდემიის დროს რამდენად სწორია გადასახადის გაზრდა. ამ საკითხზე ვიცე-მერი განმარტავს, რომ მუნიციპალიტეტი უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ძალიან დაეხმარა ბიზნესს და მომავალშიც ასე გაგრძელდება.

ბექა დანელია

დასავლეთ საქართველოში 50 მეგავატი სიმძლავრის ქარის ელექტროსადგური მოეწყობა

მიუხედავად ბევრი გამოწვევისა, რომელიც ახლა ენერგეტიკულ პროექტებს აქვთ, 2021 წელი იყო საკმაოდ წარმატებული მცირე და საშუალო ზომის ენერგეტიკული პროექტებისთვის. 40-მდე ახალი მემორანდუმი გაფორმდა კვლევაზე, შესწავლაზე და შემდგომ უკვე მშენებლობაზე, – ამის შესახებ ეკონომიკის მინისტრმა ნათია თურნავამ განაცხადა. მინისტრის თქმით, საუბარია 70 მილიონი დოლარის ინვესტიციაზე.

„დაახლოებით 500 ათასი დადგმული სიმძლავრე მეგავატი ადგილობრივი, ქართული გენერაციის ობიექტების შესწავლა დაიწყო სხვადასხვა, ძირითადად ქართველი ინვესტორების მიერ. ეს არის როგორც ჰიდრო, ასევე ქარი, ასევე მზე. დღესაც ერთ-ერთი ასეთი პროექტი გამოვიტანეთ. ეს არის ქარის 50-მეგავატიანი პროექტი, რომელიც დასავლეთ საქართველოში განხორციელდება. ჯერჯერობით ამ ეტაპზე იწყება შესწავლა, არ მოითხოვს გარანტირებული შესყიდვის ტარიფებს. ახალი ჩვენი რეფორმირებული მხარდაჭერის მექანიზმით, ე.წ. სიდინგ პრემიუმით ისარგებლებს მხოლოდ.

დღეს ჩვენ შეგვიძლია წინასწარი მონაცემები ვთქვათ მხოლოდ, რადგან კვლევაზე გაფორმდა მემორანდუმი და შემდგომ უკვე კვლევა დაადასტურებს, ეს არის დაახლოებით 70 მილიიონი დოლარის ინვესტიცია“, – განაცხადა თურნავამ.

ᲧᲐᲖᲐᲮᲘ ᲨᲝᲙᲐᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲑᲠᲫᲝᲚᲓᲐ

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ მე-20 საუკუნე იყო რევოლუციებისა და ორი მსოფლიო ომის ხანა, მაგრამ იგი ასევე გახდა ახალი ერების ჩამოყალიბების საუკუნე. არც ერთი თანამედროვე ნაცია არ იქმნებოდა იმ ინტელექტუალი პატრიოტების თუნდაც ერთი თაობის მონაწილეობის გარეშე, რომლებიც იდეურად კვებავდნენ ამა თუ იმ ხალხის ნაციად გადაქცევის პროცესს.

ერთ-ერთი ასეთი გამოჩენილი მოღვაწე ყაზახი ხალხის სინამდვილეში გახლდათ მუსტაფა შოკაი (ჩოკაევი), რომელიც ჯერ კიდევ ძალზე ახალგაზრდა ასაკში გამოირჩეოდა თავისი განათლებულობით, ღრმააზროვნებითა და პოლიტიკური პრინციპულობით. 1917 წელს, 27 წლის აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეს, რომელსაც პატივისცემა უკვე ჰქონდა მოხვეჭილი თურქესტანში, ყურადღება თვით რუსეთის დროებითი მთავრობის თავმჯდომარემ კერენსკიმ მიაქცია და მისივე წინადადებით, მუსტაფა შოკაი დაინიშნა დროებითი მთავრობის თურქესტანის კომიტეტის წევრად, რომელშიც გაერთიანებულნი იყვნენ პირველი და მეორე სახელმწიფო სათათბიროს („გოსდუმის“) ყოფილი დეპუტატები — ალიხან ბუკეიხანოვი და მუჰამედჟან ტინიშპაევი.

შოკაი იყო შუა აზიის თურქული ხალხების დამოუკიდებლობის თანმიმდევრული მომხრე; ამასთან, მას პარალელურად არჩეული ჰქონდა სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების ევროპული ორიენტაცია, რომელსაც იგი თურქული ხალხების ტრადიციებსა და რელიგიასთან ახამებდა. ამიტომაც, არ არის გასაკვირი, რომ შოკაი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, ბოლშევიკებს დაუპირისპირდა. მოვლენებს წინ გავასწრებთ და ვიტყვით, რომ ახალგაზრდა ყაზახი მოღვაწე მალე აღმოჩნდა ემიგრაციაში და მოასწრო კავკასიაში ცხოვრება — ძირითადად, ტფილისში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში. მიუხედავად სამშობლოდან ფიზიკური დაშორებისა, შოკაიმ იმდენად შეინარჩუნა და განამტკიცა კიდეც თავისი იდეოლოგიური გავლენა, რომ გერმანიაში მომუშავე საბჭოთა დიპლომატები 1926 წელს შეეცადნენ, თავაზიანი მოწვევის საშუალებით, შოკაი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე შეეტყუებინათ, ხოლო როდესაც ეს არ გამოუვიდათ, შოკაი მოსკოვში „კოლაბორაციონისტად“ გამოაცხადეს. თუმცა ცხოვრებამ აჩვენა, რომ შოკაის მხოლოდ თავისი ხალხის დამოუკიდებლობა სურდა, იყო კონსტრუქტიული, და არა დესტრუქტიული ნაციონალისტი, არ განიცდიდა რუსოფობიას (დაქორწინებული იყო რუს ქალზე) და, რაც მთავარია, გარკვეული ფიქრის შემდეგ, უარი თქვა გერმანელ ნაცისტებთან თანამშრომლობაზე, როდესაც მათ თავიანთი ნამდვილი სახე გამოაჩინეს 1930-იანი წლების მიწურულს.

შოკაი დაიღუპა ბერლინის კლინიკაში, 1941 წლის დეკემბერში, ბოლომდე გაურკვეველ გარემოებებში. ზოგიერთი სავსებით სანდო წყარო მოწმობს მისი განზრახ მოწამვლის შესაძლებლობას. აი, ასეთი საყურადღებო პოლიტიკური მოღვაწე, მასშტაბური კაცი ცხოვრობდა და მუშაობდა საქართველოში ორი წლის მანძილზე (1919-1921 წწ.). კავკასია და საქართველო მის პოლიტიკურ ბიოგრაფიაში საკმაოდ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. მუსტაფა შოკაის მეუღლის მარიას მემუარებისა და სხვა საარქივო მასალების საფუძველზე ირკვევა, რომ წყვილი ტიფლისში გრიბოედოვის ქუჩის 23 ნომერში ცხოვრობდა. ბინას, უფრო სწორად, ორ ოთახს, ისინი მდიდარი გერმანული ოჯახისგან, ლუდვიგ ლუდვიგის ძე პერშისგან ქირაობდნენ.

საქართველოს ცენტრალურ არქივში დაცული მასალები შეიცავენ საგულისყურო მასალებს მუსტაფა შოკაისა და საქართველოს პოლიტიკური ემიგრაციის თანამშრომლობის შესახებ. შოკაი აქტიურად თანამშრომლობდა ქართული ემიგრაციის პოლიტიკოსებთან, დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას ჩათვლით. იგი ხშირად აქვეყნებდა სტატიებს პარიზში გამომავალ გაზეთში „დამოუკიდებელი საქართველო“.

თავის ანალიტიკურ სტატიებში შოკაი ცალკე გამოყოფდა კავკასიის თემას. ასე, მის კალამს ეკუთვნის ესეი სახელწოდებით „კავკასიური პაქტი“.

ამ სტატიაში ხაზგასმით ნათქვამია, რომ: **„რაც უფრო ძლიერი იქნება კავკასიური ფრონტი, მით უფრო ძლიერები ვიქნებით ჩვენ ყველანი და ყოველი ჩვენთაგანი ცალ-ცალკე. კავკასია კი მხოლოდ მაშინ არის ძლიერი, როდესაც იგი ერთიანი, როდესაც იგი გამოვა ერთიანი ფრონტით და იმოქმედებს, როგორც ერთი ძალა“.**

თურქესტანის ემიგრაცია სუსტი და მცირერიცხოვანი იყო იმისათვის, რათა მოეხერხებინა ევროპაში მცხოვრებ სხვა ქვეყნების ემიგრანტებზე მნიშვნელოვანი გავლენა. თურქესტანის ემიგრაციას არ ჰქონდა უცხოეთში წარმომადგენლობა, რომ აღარაფერი ითქვას საბჭოთა ხელისუფლების გავლენებზე. მაგრამ, მუსტაფა შოკაის სჯეროდა, რომ მომავალში ემიგრანტებს შეუძლიათ თურქესტანის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება.

ევროპულ ქვეყნებში დემოკრატიული საქართველოს რესპუბლიკის ელჩმა ა. ჩხენკელმა, მოუწოდა კავკასიელ ემიგრანტებს, საბჭოთა კავშირის სხვა ემიგრანტებთან, განსაკუთრებით კი, უკრაინის და თურქესტანის ემიგრანტებთან თანამშრომლობისკენ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მ. შოკაი აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ ემიგრაციასთან, ნოე ჟორდანიას ჩათვლით. გარდა „დამოუკიდებელ საქართველოში“ პუბლიკაციებისა, 1929 წელს შოკაიმ ბერლინში დაიწყო ჟურნალ „ახალგაზრდა თურქესტანის“ გამოცემა, რომლის რედაქტორობაც თვითონ ითავა. ჟურნალი მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე, 1939 წლამდე გამოდიოდა და სულ 117 ნომერი გამოიცა.

თურქეთში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა სიმონ მდივანმა, 1928 წლის 19 თებერვალს ოფიციალურად მიმართა ისმეთ ფაშას — თურქეთის მთავრობის თავმჯდომარეს თხოვნით, მხარი დაეჭირა ამიერკავკასიის რესპუბლიკების, უკრაინისა და თურქესტანის ხალხების კონსოლიდაციისთვის. ს. მდივანი შემდგომში დანანებით აღნიშნავდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების ზეწოლის გამო, თურქეთის მთავრობამ 1931 წელს დახურა სტამბოლში გამომავალი აზერბაიჯანის და თურქესტანის ემიგრანტული გაზეთები. ქართველი ემიგრანტები მიიჩნევდნენ, რომ დაპყრობილი ხალხების გათავისუფლება რუსეთისა და ევროპის საშინაო-საგარეო ურთიერთობებსა და სამართლიან პოლიტიკაზე იქნება დამოკიდებული.

მიუხედავად ბოლშევიკური მთავრობის მხრიდან არსებულ დევნაზე, ევროპაში ემიგრირებული სხვადასხვა ქვეყნების პოლიტიკოსები აქტიურად აგრძელებდნენ თავიანთ ბრძოლას. შვეიცარიაში არსებობდა „ფრანგულ-აღმოსავლური კომიტეტის“ ფრანგული განყოფილება, რომელიც ოფიციალურად „კავკასიის, თურქესტანისა და უკრაინის მეგობრობის კომიტეტად“ იწოდებოდა. კომიტეტში საქართველოს წარმოადგენდა ა. ჩხენკელი, თავმჯდომარე — შულგინი იყო, ხოლო მდივანი — მ. შოკაი.

იმის გათვალისწინებით, რომ 2022 წელს სრულდება ყაზახეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 30-ე წელი, ჩვენი ყაზახი მეგობრებისთვის კარგი საჩუქარი იქნებოდა თბილისში, იმ სახლზე მემორიალური დაფის გაკვრა, სადაც ცხოვრობდა თავისუფლებისთვის მებრძოლი მუსტაფა შოკაი.

ᲛᲣᲠᲐᲓ ᲑᲔᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

300 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲐᲨᲨ-ᲘᲡ პრეზიდენტმა, ჯო ბაიდენმა 770 მილიარდი დოლარის ოდენობის თავდაცვის ბიუჯეტის კანონს ხელი მოაწერა. აღნიშნული კანონპროექტი მიმდინარე თვის დასაწყისში სენატმა და წარმომადგენელთა პალატამ დაამტკიცა და მას დემოკრატი და რესპუბლიკელი კანონმდებლობის უმრავლესობამ მისცა ხმა. ბიუჯეტი, რომელიც წინა წელთან შედარებით 5%-ით არის გაზრდილი, სამხედრო მოსამსახურეებისთვის განკუთვნილი ხელფასების ზრდას ითვალისწინებს, ასევე ბიუჯეტში გაწერილია სტრატეგიები გეოპოლიტიკურ საფრთხეებთან გასამკლავებლად, მათ შორის რუსეთიდან და ჩინეთიდან მომდინარე.

აშშ-ის 2022 წლის თავდაცვის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 300 მილიონი დოლარი უკრაინის უსაფრთხოების მხარდაჭერის ინიციატივისთვის. 4 მილიარდი დოლარი გამოიყოფა ევროპის თავდაცვის ინიციატივისთვის და 150 მილიონი დოლარი ბალტიის უსაფრთხოების თანამშრომლობისთვის. ბიუჯეტი ითვალისწინებს 16-წევრიანი კომისიის შექმნას ავღანეთის ომის შესასწავლად. რაც შეეხება ჩინეთს, კანონით გათვალისწინებულია 7,1 მილიარდი დოლარი წყნარი ოკეანის რეგიონის შეკავების ინიციატივისთვის.

ᲙᲐᲓᲘᲠᲝᲕᲘ ᲓᲐᲣᲙᲠᲔᲤᲐᲕᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲓᲘᲡ...

ᲩᲔᲩᲜᲔᲗᲘᲡ ლიდერი რამზან კადიროვი ამბობს, რომ „უკრაინის პრობლემური საკითხის“ გადაწყვეტა მისთვის რომ დაევალებინათ, ის პრობლემას დიდი ხნის წინ გადაჭრიდა და უკრაინას შემოიერთებდა.

„უკრაინული პრობლემური საკითხი ეს პრეზიდენტის დონეც კი არ არის, ჩემი დონეა. ჩემთვის რომ დაევალებინათ, დიდი ხნის წინ გადავჭრიდი. ან ჩეჩნეთის რესპუბლიკას მივუერთებდი ან დიდი ხნის წინ უკრაინაშივე გადავჭრიდი. თუმცა მაინც არსებობს სახელმწიფო სახელმწიფოებრივი ნორმატიულ-სამართლებრივი შეთანხმებები, რომლებიც არ გაძლევს ამ გადაწყვეტილების მიღების საშუალებას. ჩემი აზრით, თუ ბატონი ზელენსკი და მისი გუნდი ასე გააგრძელებენ მოქცევას, უკრაინა ჩვენი ქვეყნისთვის დიდი ხნის წინ უნდა შემოგვეერთებინა“, — თქვა კადიროვმა. კადიროვმა აღნიშნა, რომ დარწმუნებულია, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი დასავლეთს საშუალებას არ მისცემს სამხედრო ბაზები განათავსოს უკრაინაში.

„თუ კიევი იარსებებს, დასავლეთს ექნება ადგილი თავისი სამხედრო ბაზების ჩასადგმელად და ჩვენი სახელმწიფოსთვის მითითებების მისაცემად. დარწმუნებული ვარ ჩვენი პრეზიდენტი ამას არ დაუშვებს. ჩვენ, ქვეითები კი მზად ვართ, გავიდეთ და აბსოლუტურად უპრობლემოდ შევასრულოთ ბრძანება“, — თქვა კადიროვმა.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲢᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲐ!

ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ **უსაფრთხოების საკითხთა მინისტრის დემიან ჰინდსის განცხადებით, სამი ყველაზე მტრულად განწყობილი სახელმწიფო, რომელიც გაერთიანებული სამეფოს საფრთხეს უქმნის, რუსეთი, ჩინეთი და ირანია. ჰინდსის განცხადებით, ამ სახელმწიფოებს აქვთ ძლიერი წარმომადგენლობა კიბერსივრცეში და ძალუძთ ფართომასშტაბიანი ძალების განლაგება.**

დემიენ ჰინდსმა ისაუბრა ბრიტანული კანონმდებლობის განახლების შესახებ, რომელიც უცხოეთის საგაზვერვო სამსახურების წინააღმდეგობას გულისხმობს. მინისტრის თქმით, კანონმდებლობაში ზოგიერთი დებულება თითქმის 100 წლისაა და ის მოძველდა.



რვა ოქტომბერს ნობელის კომიტეტმა 2021 წლის მშვიდობის პრემია მიანიჭა ფილიპინელ ჟურნალისტს მარიამ რესას და რუსეთის „ნოვაია გაზეტას“ მთავარ რედაქტორს დიმიტრი მურატოვს.

„დიმიტრი მურატოვს და მარიამ რესას მშვიდობის პრემია მიენიჭათ დემოკრატიის წინაშე და აზრის გამოხატვის თავისუფლების დასაცავად ძალისხმევის გამო დამსახურებისთვის. თავისუფალი, დამოუკიდებელი და ფაქტებზე დაფუძნებული ჟურნალისტიკა ემსახურება ხელისუფლების მიერ ძალაუფლების, სიცრუისა და სამხედრო პროპაგანდის ბოროტად გამოყენებისგან დაცვას“, – ნათქვამია შვედეთის ნობელის კომიტეტის თავმჯდომარის ბერიტ რაის ანდერსენის შეტყობინებაში. „ნოვაია გაზეტა“ არის ყოვლის უფრო დამოუკიდებელი რუსული გაზეთი და პრინციპულად კრიტიკული პოზიცია უჭირავს მთავრობის მიმართ“, – განაცხადეს ნობელის კომიტეტში.

მურატოვი იყო 1993 წელს რუსული გამოცემის „ნოვაია გაზეტას“ ერთ-ერთი დამფუძნებელი. ფილიპინელ-ამერიკელი ჟურნალისტი და მწერალი მარიამ რესა ფილიპინის ახალი ამბების პორტალ Rappler-ის დამაარსებელი და გენერალური დირექტორია. დიმიტრი მურატოვს პრემია 10 დეკემბერს სტოკჰოლმში გადასცა შვედეთის ნობელის კომიტეტის თავმჯდომარემ ბერიტ რაის ანდერსენმა. ქვემოთ ჩვენს მკითხველს ვთავაზობთ დიმიტრი მურატოვის რუსეთისთვის ერთგვარად სკანდალურ სანობელო სიტყვას, რომელიც მან პრემიის მიღების შემდეგ წარმოთქვა.

ქარავანი წინ მიდის, იმიტომ, რომ ძაღლები უყეფენ...

ჟურნალისტ დიმიტრი მურატოვის სანობელო სიტყვა

თქვენო უდიდებულესობავ! თქვენო სამეფო უმაღლესობავ, პატივცემულო ნობელის კომიტეტის წევრებო, პატივცემულო სტუმრებო!

8 ოქტომბრის დილით დედაჩემმა დამირეკა. მკითხა, რა არის ახალიო.

– იცი რა, დედა, – ვეუბნები, – ნობელის პრემია მივიღეთ.

– ეგ კარგია, კიდევ რა ახალი ამბავია?

– ახლავე, დედა, ყველაფერს მოგიყვები.

„დარწმუნებული ვარ, რომ მრწამსის თავისუფლება, სხვა სამოქალაქო თავისუფლებათა თანაბრად, პროგრესის საფუძველია.

მე ვიცავ კაცობრიობის ბედ-იღბლის ჩამოყალიბებაში სამოქალაქო და პოლიტიკურ თავისუფლებათა განმსაზღვრელი მნიშვნელობის თეზისს!

დარწმუნებული ვარ, საერთაშორისო ნდობა, განიარაღება და უსაფრთხოება შეუძლებელია, თუ არა საზოგადოების ღიაობის, ინფორმაციის, მრწამსის, საჯაროობის სუფევა!

მშვიდობა, პროგრესი, ადამიანის უფლებები ერთმანეთისგან განუყრელი სამი მიზანია“, – ეს აკადემიკოსმა ანდრეი სახაროვმა, დედამიწის მოქალაქემ, უდიდესმა მოაზროვნემ თქვა თავის სანობელო სიტყვაში.

ეს სიტყვა პირდაპირ აქ, ამ ქალაქში, 1975 წლის 11 დეკემბერს წაიკითხა მისმა მეუღლემ ელენე ბონერმა.

მე აუცილებლად მივიჩნიე, რომ სახაროვის სიტყვები მეორედ გახმიანებულიყო აქ, მთელ მსოფლიოში ცნობილ დარბაზში.

რატომ არის ეს ახლა აგრერიგად მნიშვნელოვანი ჩვენთვის, ჩემთვის?

მსოფლიომ გული აიყარა დემოკრატიაზე.

მსოფლიოს გული გაუტყდა მმართველ ელიტებზე.

მსოფლიომ გაიწია დიქტატურისკენ.

გაჩნდა ილუზია, რომ პროგრესის მიღწევა შეიძლება ტექნოლოგიებით და ძალადობით, და არა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვით.

ესეც თქვენი უთავისუფლებო პროგრესი!

ეს იგივეა, რაც რძე უძროხოდ...

დიქტატურებმა გაიუზრუნველყვეს გაადვილებული მიდგომა ძალადობის მიმართ.

ჩვენთან ქვეყანაში (და არა მარტო ჩვენთან) პოპულარულია აზრი: ის პოლიტიკოსები, ვინც სისხლს გაურბის – სუსტი ადამიანები არიან.

ხოლო მსოფლიოსთვის ომით დამუქრება – ნამდვილ პატრიოტთა ვალია.

ხელისუფლება აქტიურად ყიდის ომის იდეას.

მთავრობებს თავიანთ დაახლოებულ პროპაგანდისტებთან ერთად სრულად ეკისრებათ პასუხისმგებლობა სახელმწიფო სატელევიზიო არხებზე მილიტარისტული რიტორიკისთვის.

ომის აგრესიული მარკეტინგის ზეგავლენით ადამიანები ეჩვევიან იმ აზრს, რომ ომი დასაშვებია.

მაგრამ მე ვნახე სხვა ხალხიც სხვა ტელევიზორებთან. პატიოსანთან და საშინელთან.

ჩეჩნური ომის დროს ერთ-ერთ სადგურში ლიანდაგებზე ხუთი თეთრი ვაგონი იდგა – მაცივრები, რომელთაც დღედაღამ დაცვა დასტრიალებდა. ეს იყო თავდაცვის სამინისტროს 124-ე ლაბორატორიის ბორგლებზე შეყენებული მორგი.

რეფრეჟირატორებში იხანებოდა ამოუცნობ ჯარისკაცთა და ოფიცერთა ცხედრები.

ბევრი უკვე სახეწაშლილი იყო პირდაპირი მოხვედრისგან თუ წამებისგან. ლაბორატორიის უფროსი კაპიტანი შჩერბაკოვი ცდას არ აკლებდა, რომ უსახელო ჯარისკაცები უჭირისუფლოდ არ დარჩენილიყვნენ. ლიანდაგების ახლოს ერთ პატარა სახლში ტელევიზორი იდგა. სავარძლებში, როგორც მოსაცდელ დარბაზში, უგზო-უკვლოდ დაკარგული ჯარისკაცების დედები და მამები ისხდნენ, ხოლო ოპერატორი ეკრანზე ვიდეოკამერით ერთმანეთის მიყოლებით გადმოსცემდა ცხედართა გამოსახულებებს. ერთმანეთის მიყოლებით, 458-ჯერ. ვინ მოთვლის რამდენი სამხედრო იწვა ამ ვაგონების თაროებზე მინუს 15-გრადუსიან ყინვაში თავის უკანასკნელ მატარებელში, რომელიც ჩამომდგარიყო მარშრუტით „ომი-სიკვდილი“.

დედები, ჩეჩნეთის მთებსა და ხეობებში მრავალი თვე რომ დაეძებდნენ თავიანთ ბიჭებს, ეკრანზე შვილის სახეს რომ დაინახავდნენ, ყვიროდნენ: **„არა, ის არ არის! ის არ არის, არა!“**

არადა, ის იყო.

ამჟამინდელი იდეოლოგები წინ სწევენ სამშობლოსთვის სიკვდილის იდეას და არა სამშობლოსთვის სიცოცხლისას. ნუ მოვატყუებინებთ კვლავ თავს იმათ ტელევიზორს.

ჰიბრიდულმა საბრძოლო მოქმედებებმა, „ბოინგ-MH-17“-ის ტრაგიკულმა, სამარცხვინო და დანაშაულებრივმა ისტორიამ დაანგრიეს რუსეთისა და უკრაინის ურთიერთობანი, და არ ვიცი, შეძლებენ კი მომდევნო თაობები ამ ურთიერთობათა აღდგენას... მით უმეტეს, გეოპოლიტიკოსთა ავადმყოფ თავებში რუსეთისა და უკრაინის ომი შეუძლებელი აღარა ჩანს.

მაგრამ ვიცი, ომები მთავრდება ჯარისკაცთა ამოცნობით და ტყვეთა გაცვლით. ჩეჩნეთის ომში „ნოვაია გაზეტამ“ და ჩვენმა მიმომხილველმა მაიორმა იზმაილოვმა ტყვეობიდან 174 ადამიანის გამოხსნა შეძლეს. თუ ახლა, როგორც უკვე ლაურეატი, რასმე შევძლებ ჯერ კიდევ ცოცხალ ტყვეთა შინ დასაბრუნებლად, მითხარით, მე მზად ვარ.

მინდა კიდევ ერთი კაცის გახსენება, რომელმაც ნობელის პრემია მიიღო 1990 წელს ამ დარბაზში.

მოსკოვი. კრემლი. 1988 წლის 18 აპრილი. მიმდინარეობს პოლიტბიუროს სხდომა. ერთ-ერთი საბჭოთა მინისტრი ითხოვს ჯარის ავღანეთში დატოვებას, მიხეილ გორბაჩოვი მკაცრად აწყვეტინებს: „ძორივით ნუ ყიპყიპებ, გაჩუმდი“!

„ძორივით ნუ ყიპყიპებ!“ – განა ეს პოლიტიკისა და ჟურნალისტიკის თანამედროვე პროგრამა არ არის?.. ხომ შეიძლება ისე ცხოვრება, რომ ომში ახლობელთა დაღუპვის ცნობებს არ ვიღებდეთ! ჩანს, რთული ამბავია. მაგრამ ევროპის ცენტრში აღმოსავლეთ უკრაინის მოვლენებს დაემატა დიდი სისხლის ღვრის ზღვარზე ბელარუსი ავტომატიანი პრეზიდენტის ლუკაშენკოს თამაში. იმის ავტომატიანი სამხედროები ახლო აღმოსავლეთიდან ლტოლვილთ ევროკავშირის საზღვრების დამცველ ავტომატიანებისკენ ერეკებიან. მხარეები ერთმანეთს ადანაშაულებენ, გონებაარეული ადამიანები კი ორ ცეცხლს შუა არიან.

ჩვენ ჟურნალისტები ვართ, ჩვენი სამუშაო გასაგებია: ერთმანეთისგან გამოვყოთ ფაქტი და სიცრუე. ჟურნალისტ-პროფესიონალთა ახალ თაობას შეუძლია მუშაობა უნარიანად, საინფორმაციო მონაცემთა ბაზის მარჯვედ გამოყენება. არც ჩვენ ჩამოვრჩით ამ საკითხში და გავიგეთ, ვის გადმოჰყავს ლტოლვილნი კონფლიქტის წერტილში, მხოლოდ ფაქტებზე ვლაპარაკობ.

ბელარუსულმა თვითმფრინავებმა რეისები გაზარდეს მინსკში ახლო აღმოსავლეთიდან ამა წლის შემოდგომაზე ოთხჯერ უფრო მეტად. ექვსი რეისი იყო 2020 წლის აგვისტო-ნოემბერში და 27 რეისი იმავე თვეებში წლეულს. 4,5 ათასი ადამიანი ჩამოიყვანა ბელარუსულმა კომპანიამ საზღვრის შესაძლო გარღვევისთვის ამ წელს, და მხოლოდ 600 ადამიანი – შარშან. და კიდევ, 6000 ლტოლვილი ჩამოიყვანა კომპანიამ ერაყიდან.

ასე ხდება სამხედრო პროვოკაციებისა და კონფლიქტების ორგანიზება. ჩვენ, ჟურნალისტებმა, გავარკვიეთ ამ ამბის ასავალ-დასავალი, მოვათავკუდეთ ჩვენი სამუშაო. ახლა საქმე პოლიტიკოსებზეა.

ხალხი სახელმწიფოსთვის თუ სახელმწიფო ხალხისთვის? ეს მთავარი კონფლიქტია დღეს.

ამ კონფლიქტს სტალინი წყვეტდა მასობრივი რეპრესიებით.

ციხეებში და გამოქიებისას წამების პრაქტიკა შემორჩენილია თანამედროვე რუსეთშიც. სასტიკი მოპყრობა, გაუპატიურება, ციხეში აუტანელი, საშინელი პირობები, პატიმრის აკრძალვა, დაბადების დღეს დედისთვის მისალოცად დარეკვა, პატიმრობის ვადების უსასრულოდ გაგრძელება. სასამართლომდე გისოსებს მიღმა ამწყვდევენ მძიმედ დაავადებულ ადამიანებს, იმათ მძევლებად ჰყვანან ავადმყოფი შვილები, იმათგან დანაშაულის აღიარებას ითხოვენ ისე, რომ მტკიცებებს ვერ უყენებენ.

ყალბი ბრალდების გამო სისხლის სამართლის საქმეებს ხშირად პოლიტიკური ხასიათი აქვს. ოპოზიციონერი პოლიტიკოსი ალექსეი ნავალნი ბანაკში ჰყავთ საფრანგეთიდან უმსხვილესი საპარფიუმერო კომპანიის რუსეთელი დირექტორის ნაყალბევი დასმენის გამო.

დანგრეული ჩეჩნეთის დედაქალაქი

განცხადება დირექტორმა დაწერა, მაგრამ სასამართლოში არ გამოუძახიათ და თავი დაზარალებულად არ ცნო... ნავალნი კი ზის. თვითონ საპარფიუმერიო კომპანიამ გვერდზე გადგომა ამჯობინა იმ იმედით, რომ ამ საქმის სუნი ვერ დააზიანებს კომპანიის ნაწარმის სურნელებას.

ჩვენ სულ უფრო ხშირად გვესმის იმ წამებათა შესახებ, დაკავებულთა და პატიმართა წინააღმდეგ რომ იყენებენ. ადამიანებს აწამებენ, რათა გატეხონ, რათა გაადიდონ დასჯის სისასტიკე განაჩენის ფარგლებს მიღმა. აშკარა ველურობაა.

მე გამოვდივარ წამებათა წინააღმდეგ საერთაშორისო ტრიბუნალის შექმნის თაოსნობით, რომლის ამოცანაა მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში და სახელმწიფოებში წამების გამოყენების მონაცემთა შეგროვება. დავადგინოთ ჯალათები და იმათი ბატონ-პატრონები, მსგავს დანაშაულთა მონაწილენი.

უწინარესად, რა თქმა უნდა, მთელი მსოფლიოს ჟურნალისტ-გამომძიებელთა იმედი მაქვს.

ყოველგვარი წამება უნდა ვაღიაროთ ჰუმანურობის წინააღმდეგ უმძიმეს დანაშაულად.

ბარემ აქვე ვიტყვი, „ნოვაია გაზეტა“ განაგრძობს ქაღალდზე გამოსვლასაც. იმიტომ, რომ ჩვენი წაკითხვა ციხეებშიც შეძლონ — იქ ინტერნეტი არ არის.

ორი ტენდენცია იბრძვის ახლა რუსეთში, ცალკე რუსეთის პრეზიდენტი ხელს უწყობს აკადემიკოს სახაროვის 100 წლისთავისთვის ძეგლის დადგმას.

ცალკე ჩვენს ქვეყანაში გენერალური პროკურატურა მოითხოვს საზოგადოება „მემორიალის“ გაუქმებას. „მემორიალი“ დაკავებულია სტალინური რეპრესიების მსხვერპლთა რეაბილიტაციით, პროკურორები კი საზოგადოებას „ადამიანის უფლებათა დარღვევაში“ ადანაშაულებენ!

ეს იქნებ სულაც იმიტომ ხდება, რაკი უსაფრთხოების ფედერალურმა სამსახურმა **(უფს)** კვლავ გაასაიდუმლა სტალინელ გამომძიებელთა და ჯალათ-ქონდაქართა სახელები.

შეგახსენებთ, „მემორიალი“ სახაროვმა შექმნა. ეგების მკვდარი სახაროვის ძეგლი ბევრად უხიფათოა, ვიდრე იმის ცოცხალი მოძმედი პროექტი.

„მემორიალი“ ხალხის მტერი არ არის, „მემორიალი“ ხალხის მეგობარია. „მემორიალი“ უნდა შევინარჩუნოთ.

* * *

...ჩვენ, რასაკვირველია, გვესმის რომ ეს პრემია ეკუთვნის ნამდვილ ჟურნალისტთა მთელ პროფესიულ გაერთიანებას.

ჩემს კოლეგებს ამხელდნენ ფულის გათეთრების ტექნოლოგიებში და ბიუჯეტში დააბრუნეს მილიარდობით მოპარული მანეთი, ააშკარავებდნენ ოფშორებს, აჩერებდნენ ციმბირის ტყეების ჩეხვას. სახელმწიფომ, ბოლოს და ბოლოს, მხარი დაუჭირა „ნოვაია გაზეტას“, „ეხო მოსკვის“, „დოჟდის“ და სხვა კოლეგების ძალისხმევას იმ ბავშვების მკურნალობისთვის, იშვიათი დაავადებებით რომ არიან დასნებოვნებულნი და რომელთაც მსოფლიოში ყველაზე ძვირი წამლები სჭირდებათ.

ბარემ იმასაც ვიტყვი, იმედია, ფარმინდუსტრიის წარმომადგენელნი, ვისზეც დამოკიდებულია ბავშვებისა და ათასგვარი ორგანული სენით დაავადებულთა ბედ-იღბალი (ბევრს კიდევ ზურგის კუნთოვანი ატროფია (ზკა) სტანჯავს, დასხდებიან ჩვენთან ერთად მრგვალ მაგიდასთან და დაიხარჯებიან ხელმისაწვდომი წამლებისა და ადრეული დიაგნოსტიკა-სკრინინგისთვის.

იქნებ მდიდარმა მსოფლიომ მოიძიოს ფული რამდენიმე ათეულობით ათასი ბიჭებისა და გოგონებისთვის, რომელთა სხეულშიც ჯერ კიდევ ფეთქავს სიცოცხლე?

ცხინვალი, 2008, აგვისტოს ომი.

ჩვენ ამ პრემიას გავიღებთ ავადმყოფი ბავშვებისა და დამოუკიდებელი ჟურნალისტიკის მხარდასაჭერად.

ოღონდ ჟურნალისტიკა რუსეთში ამჟამად ბნელ დროებას განიცდის, უკანასკნელ რამდენიმე თვეში ასზე მეტმა ჟურნალისტმა, მედიამ, უფლებადამცველთ და არაკომერციულმა ორგანიზაციებმა (აკო) მიიღეს „უცხოეთის აგენტების“ სტატუსი. რუსეთში ეს ხალხის მტერია. ბევრი ჩვენი კოლეგა დარჩა უმუშევარი, მავანი და მავანი იძულებული გახდა, რომ ქვეყნიდან წასულიყო.

ადამიანს ართმევენ ჩვეულ ცხოვრებას გაურკვეველი დროით. ან იქნებ სულაც სამუდამოდ... ასეთი რამ ჩვენს ისტორიაში მომხდარა...

მომავალ წელს 100 წელიწადი შესრულდება, რაც 29 სექტემბერს სანკტ-პეტერბურგიდან გერმანიაში, ნავსადგურ შტეტინში, გავიდა „ფილოსოფიური გემის“ — მორიგი რეისი, რომლითაც ბოლშევიკებმა რუსეთიდან გაანდევნეს თითქმის 300 უთვალსაჩინოესი ინტელიგენტური ელიტის წარმომადგენელი. იმ OBERBURGERMEISTER HAKEN — გემით გააძევეს შვეულმფრენთა მომავალი გამომგონებელი სიკორსკი, ტელევიზიის შემქმნელი ზვორიკინი, ფილოსოფოსები ფრანკი, ილინი, პიტირიმა სოროკინა. უდიდესი მოაზროვნე ნიკოლაი ბერდიევიც იქ იყო. როგორც რომ ყველას, იმასაც ნება დართეს, რომ წაელო პიჟამო, ორი პერანგი, ორი წყვილი წინდები და ზამთრის პალტო. ასე დაემშვიდობა სამშობლო თავის დიდ მოძალაძეებს: ნივთები დატოვეთ, ტვინები კი შეგიძლიათ თან წაიღოთო.

ჟურნალისტებისა და უფლებადამცველთათვის დღეს სურათი მეორდება.

ახლა „ფილოსოფიური გემის“ ნაცვლად მიფრინავს „ჟურნალისტური თვითმფრინავი“.

ეს მეტაფორაა, ცხადია, მაგრამ ჩვენი პროფესიის ათობით წარმომადგენელი ტოვებს რუსეთს.

ოღონდ ზოგ-ზოგთ ამის საშუალებაც წაართვეს.

ორხან ჯემალი, კირილ რადჩენკო, ალექსანდრ რასტორგუევი, რუსეთელი ჟურნალისტები უმოწყალოდ დახოცეს ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, სადაც ისინი ჩავიდნენ რუსეთის ერთ-ერთი კერძო კომპანიის საქმიანობის გამოსაძიებლად. ორხანის ქვრივი ირა გორდიენკო ჩვენთან მუშაობს „ნოვაია გაზეტაში“. ქმრის მოკვლის დროიდან, 2018 წლის 30 ივნისის მერე, ის ოფიციალური გამოძიების სიყალბეს ამხელს, მხოლოდ ერთ დეტალს გაგაცნობთ: ფასდაუდებელი ნივთიერი მტკიცებულებანი — დაღუპულთა ტანსაცმელი უბრალოდ დაწვეს ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის პოლიციის ხელისუფალთ! ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწია რუსეთის გამოძიებამ. ვერც საერთაშორისომ! გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ანტონიუ გუტერაშმა დახმარება აღუთქვა გამოძიებას, თუმცა, ეტყობა, იგულმავიწყა ეს საქმე. ამიტომ ვახსენებ ახლა. ...ცხადია, როგორც ყოველთვის, შეიძლება რომ მკითხონ: რას მიძვრებოდნენ თქვენი კოლეგები იქო?

რას მოძვრებოდნენ და, რათა შეემოწმებინათ, რათა დაემტკიცებინათ, რათა პირადად ენახათ, რათა, როგორც თქვა დიდმა სამხედრო ფოტოგრაფმა რობერტ კაპამ: **„თუ შენი სურათი შენვე არ მოგწონს, მაშასადამე, არასაკმარისად ყოფილხარ ახლოს“.**

„განა საშიში არ არის?“ — ხშირად ეკითხებიან ჩემს კოლეგებს.

ეს იმათი მისიაა, როცა მთავრობები გამუდმებით აუკეთესებენ წარსულს, ჟურნალისტები ცდილობენ მომავლის გაუკეთესებას.

ეს პრემიაც სრულიად ნამდვილ ჟურნალისტიკას ეკუთვნის, ეს პრემია ეკუთვნით ჩემს დაღუპულ ნოვოგაზეტელ კოლეგებს — იგორ დომნიკოვს, იური შეკოჩიხინს, ანა პოლიტკოვსკაიას, ანასტასია ბაბუროვას, აგრეთვე სტას მარკელოვს, ნატაშა ესტემიროვას, ეს პრემია ცოცხალ კოლეგებსაც ეკუთვნით, გაერთიანებას, რომელიც ასრულებს პროფესიულ მოვალეობას.

...ამ ჯილდოს გამოცხადებამდე ერთი დღით ადრე ჩვენ აღვნიშნეთ ანა პოლიტკოვსკაიას მოკვლიდან 15 წელი. მკვლელებს სამართლიანი განაჩენი გამოუტანეს, მაგრამ დანაშაულის დამკვეთი ჯერაც ნაპოვნი არ არის, ხანდაზმულობის ვადა კი გავიდა. ოფიციალურად ვაცხადებ: „ნოვაია გაზეტას“ რედაქცია ამ ხანდაზმულობის ვადას არ აღიარებს.

...რუსულსა და ინგლისურში სხვა ენებშიც არის ერთი ანდაზა: **„ძაღლი ყეფს, ქარავანი კი მიდის“...** The dog bark's, but the caravan goes on. — ამ ანდაზას ასე განმარტავენ: ქარავნის წინსვლას ვერცრა ხელს ვერ შეუშლისო. ხან ხელისუფლება ასე აგდებულად ლაპარაკობს ჟურნალისტებზე, ეგენი კი იყეფებიან, მაგრამ ვერცრაზე ზეგავლენას ვერ ახდენენო.

მე კი ახლახან გავიგე, ანდაზის აზრს სულ სხვა მნიშვნელობა აქვს.

ქარავანი წინ მიდის, იმიტომ რომ ძაღლები უყეფენ.

უღრენენ და ეტევიან მტაცებელთ მთებსა და უდაბნოებში. და ქარავნის წინსვლა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ისინი მისდევენ ქარავანს.

დიახ, ჩვენ ვიღრინებით და ვიკბინებით. ჩვენ ეშვები გვაქვს და მივარდნა ვიცით, ოღონდ ჩვენ მოძრაობის პირობა ვართ.

ჩვენ ტირანიის ანტიდოტები ვართ.

P. S. მე ერთი წუთის დაზოგვა მინდოდა, მოდით, ავდგეთ და წუთიერი დუმილით პატივი მივაგოთ ჩემი და მარიამ რესეს იმ კოლეგებს, ვინც სიცოცხლე შესწირა ამ პროფესიას, და მხარი დავუჭიროთ იმათ, ვინც იდევნება. მე მინდა ჟურნალისტები მოხუცებად იხოცებოდნენ.

მოამზადა
გურამ გოგიაშვილმა

ჩემი მინაწერი: „ნოვაია გაზეტას“ მთავარი რედაქტორის დიმიტრი მურატოვის ამ სანობელო სიტყვას რუსეთში ყველა დონეზე დიდი მითქმა-მოთქმა და აყალმაყალი მოჰყვა. ის კი არა, ზოგმა მურატოვში მოღალატეც კი დაინახა. რას ვიზამთ, ყველა თავისი სამრეკლოდან რეკავს. ჩვენი პუბლიკაციის მიზანი კი ის არის, რომ ქართველ მკითხველს დავანახვოთ თვითონ უთუოდ ანგარიშგასაწევი რუსი ოპოზიციონერი ჟურნალისტის მიერ შეფასებული ამჟამინდელი რუსული სინამდვილე.

რაც შეეხება თვით ნობელის კომიტეტს, თუ თვალს გადავავლებთ ამ პრემიის დაარსებიდან (1901 წ.) დღემდე მის საქმიანობას, აშკარაა, რომ კომიტეტი მიკერძოებული პოლიტიკით ხელმძღვანელობს, განსაკუთრებით ეს ითქმის ლიტერატურის დარგში და მშვიდობის განმტკიცების საქმეში დამსახურებისთვის გალაურეატებულებზე. რუსი ოპოზიციონერი ჟურნალისტისთვის პრემიის მინიჭება, როგორც ჩანს, ამაზე მეტყველებს. ნობელის კომიტეტი პროგრესისთვის ხელის შეწყობას საქმის მიმართ, ალბათ, სწორედ ასეთ მიდგომაში ხედავს.

ზ. ზ.

უკრაინა, დონბასი, 2018.

გუშინ რუსეთის ფედერაციის უზენაესმა სასამართლომ გააუქმა საზოგადოება „მემორიალი“ და მასში შემავალი ქვეორგანიზაციები

წმინდა ნიკოლოზი, სანტა კლაუსი და შობის მამა...

რა იმალება იდუმალი ლეგენდის უკან

წმინდა ნიკოლოზი ჩვენი წელთაღრიცხვით მეოთხე საუკუნეში ცხოვრობდა. განსაკუთრებული თაყვანისცემა წმიდა ნიკოლაუსისა გერმანიაში — VI საუკუნიდან, რომში კი — VIII საუკუნიდან დამკვიდრდა. არსებობს გარკვეული ლეგენდები წმინდა ნიკოლაუსთან მიმართებით და ვეცდებით მოგითხროთ მათ შესახებ.ერთ-ერთი გადმოცემის თანახმად, წმინდა ნიკოლაუსი მდიდარი იყო, როდესაც მისი მშობლები გარდაიცვლანენ მას დიდი ქონება დარჩა. იგი ასევე ძალიან კეთილი ადამიანი გახლდათ და ყოველთვის ეხმარებოდა გაჭირვებულებსა თუ ღარიბებს, ასევე ჩუქნიდა მათ საიდუმლო საჩუქრებს.

როგორც ცნობილია, წმიდა ნიკოლოზი, განსაკუთრებული ქველმოქმედებითა და მოწყალებით გამოირჩევა. მისი ცხოვრება სასწაულებითაა აღსავსე. ყველასთვის ცნობილია, მაგალითად, თუ როგორ გადაარჩინა წმიდა ნიკოლოზმა ქალაქი მირონლუკია შიმშილისაგან; როგორ დააცხრო ქარიშხალი ლოცვით და პალესტინაში მიმავალი გემი გარდაუვალი დაღუპვისგან იხსნა; თუ როგორ გადაარჩინა წმიდა ნიკოლოზმა სიკვდილით დასჯას სამი მხედართმთავარი, რომლებსაც ბოროტმოქმედებმა ცილი დასწამეს. დაბოლოს, საყოველთაოდ ცნობილია ერთი ეპიზოდი წმიდა ნიკოლოზის ცხოვრებიდან. იმხანად წმიდა ნიკოლოზი ქალაქ პატრაში მღვდლად მსახურობდა. მან შეიტყო, რომ ერთ გაღატაკებულ კაცს, რომელსაც სამი ქალიშვილი ჰყავდა და მათი გამზითვება და დაქორწინება არ შეეძლო, — განუზრახავს მათი საროსიკოპოში გაგზავნა და ამ გზით გამდიდრება. ქალწულები ცრემლით ევედრებოდნენ უფალს გამოხსნას ამ საშინელი ხვედრისგან. ყოვლადმოწყალე ღმერთმა მათ დასახმარებლად მღვდელი ნიკოლოზი გააგზავნა. სამგზის მივიდა მის სახლთან წმიდა ნიკოლოზი და ყოველ მისვლაზე კარის ზღურბლთან ოქროთი სავსე ქისა დატოვა. ასე შეძლო მამამ თავისი სამივე ქალიშვილის გამზითვება. ამგვარად იხსნა წმიდა ნიკოლოზმა სამი ქალწული და მათი მამა საშინელი განსაცდელისაგან.

სწორედ ამ ეპიზოდმა წმიდა ნიკოლოზის ცხოვრებიდან განაპირობა სანტა კლაუსის დამკვიდრება დასავლურ ტრადიციაში. ასე, თანდათანობით, იქცა იგი დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის შობა-ახალწლის სიმბოლოდ — სანტა კლაუსად. შობა ღამეს, წმიდა ნიკოლოზის სასწაულის მოლოდინში, საჩუქრების დასატოვებლად საგანგებოდ წინდებს გამოფენდნენ ხოლმე. ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში შობა ღამეს წინდებსა და ფეხსაცმელს ბუხართან ტოვებენ, რადგან სწამთ, რომ საკვამურიდან სახლში სანტა კლაუსი ან მისი თანაშემწე შემოაღწევს და წინდებსა და ფეხსაცმელში საჩუქრებს ჩააწყობს.

ბავშვების საშობაოდ დასაჩუქრების ტრადიცია გერმანიაში X საუკუნიდან იწყება. იმხანად სამონასტრო სკოლებში წმიდა ნიკოლოზის ხსენების დღეს „საეპისკოპოსო“ თამაშებს ატარებდნენ: ერთ-ერთი მოსწავლე მღვდელმთავრად იმოსებოდა და თავის თანატოლებს საჩუქრებს ურიგებდა. XVI-XVII საუკუნეებში ეს ტრადიცია გერმანიაში საბოლოოდ დამკვიდრდა. ახლა უკვე „წმიდა ნიკოლოზი“ არა მარტო დადის სახლებში ზურგზე მოკიდებული საჩუქრებით სავსე ტომრით, არამედ იგი აუცილებლად ამოწმებს, იციან თუ არა ბავშვებმა კატეხიზმო და დაზეპირებული აქვთ თუ არა ლოცვები და მხოლოდ ამ „გამოცდის“ შემდეგ ასაჩუქრებს მათ. წმიდა ნიკოლოზობის დღესასწაულისათვის ბავშვები გულმოდგინედ ლოცულობენ. საღამოს კი კართან ფეხსაცმელებს ტოვებენ და მათში დილით საჩუქრებს მოელიან.

თუმცა დასავლეთ ევროპაში, განსაკუთრებით, პროტესტანტულ რეგიონებში, წმიდა ნიკოლოზის რელიგიური არსი თანდათანობით უკანა პლანზე გადავიდა; სანტა კლაუსის პერსონაჟმა სახეცვლილება განიცადა - დღეს იგი უკვე მოიაზრება, როგორც ჯადოქარი სინრეკლაასი ან სანტა კლაუსი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ეს პერსონაჟი თოვლის პაპად, ნოელემად ან ვაინახსმანად ყოველთვის როდი აღიქმება.

XX საუკუნის 30-იანი წლებიდან სანტა კლაუსი საზოგადოებრივ ცნობიერებაში დამკვიდრდა, როგორც კომპანია „კოკა-კოლას“ სარეკლამო სახე. მას შემდეგ სანტა კლაუსის პერსონაჟი საბოლოოდ აღიქმება ცნობილ თოვლის პაპად. დამკვიდრდა ასევე „სანტას“ ტრადიციული ფორმაც: წითელი თეთრბეწვმოყოლებული ხიფთანი, შარვალი და ქუდი. თუმცა წინა საუკუნეებში „საშობაო პაპა“ სრულიად სხვაგვარად იყო შემოსილი და ჩიბუხსაც კი აბოლებდა. სწორედ ასეთი პესონაჟი ფიგურირებს კლემენტ მოორეს ლექსში „საშობაო პაპის სტუმრობა“...

ცვლილებების დროა!

ცისფერი წყლის ვეფხვის წელიწადის ძირითადი მახასიათებლები

2022 წელი აღმოსავლური კალენდრით ცისფერი წყლის ვეფხვის წელიწადის ნიშნით ხასიათდება და ის ოფიციალურად 2022 წლის 1 თებერვლიდან იწყება. ასტროლოგები იმ ძირითად ნიშნებს გვთავაზობენ, თუ როგორი მახასიათებლებით იქნება გამორჩეული ეს წელი.

ძირითადი მახასიათებლები

2022 წელს მოსალოდნელია ცვლილებები და მათ მტკიცედ უნდა შეხვდეთ. თამამად შეიძლება აისრულოთ ოცნებები და შეცვალოთ პირადი თუ საზოგადოებრივი ცხოვრება. არ შეგეშინდეთ სამსახურის გამოცვლის, მათ შორის მოღვაწეობის სფეროსა და სპეციალობის კარდინალური ცვლილების. შეისწავლეთ ახალი პროფესიები და შეიძინეთ ახალი უნარები. შეგიძლიათ გამოცვალოთ ბინა ან საერთოდ სხვა რეგიონში გადახვიდეთ საცხოვრებლად.

ვეფხვი ჯიუტი და ჭირვეული ცხოველია, მასთან მუდმივად ფრთხილად ყოფნაა საჭირო. ის ცნობისმოყვარეა და ყოველთვის ინტერესდება სიახლით, ამასთან არასდროს ეშინია მისი. მაგრამ რადგან ეს წელი წყლის ნიშნითაც ხასიათდება, მისი აგრესია მცირდება და ვეფხვი უფრო მშვიდობიანია.

ვეფხვი ბოროტი ცხოველი არ არის. ის მტაცებელია, მუდმივად ეძებს საკბილოს და ახალ არეალებს. ის დიდი ენერგიის მატარებელი და არაპროგნოზირებადი ცხოველია.

სწორედ ამ წელს შეიძლება მოხდეს კარიერული ნახტომი, ახალი სიმაღლეების დაუფლება. განსაკუთრებით გაუმართლებთ პოლიტიკოსებს, ორატორებს, ხელოვნების მუშაკებს, მთავარია მზად იყოთ ამისთვის და ენერგიულად იმოქმედოთ. წარმატება მოვა თუ მას შეამზადებთ, მიზანს ბოლომდე მიჰყვებით და შუა გზაში ხელებს არ ჩამოუშვებთ.

რაც შეეხება სიყვარულს, ვეფხვის მფარველობის ქვეშ ბევრი რომანტიკული თავგადასავლები და ვნებიანი შეხვედრები გელით.

ვეფხვის წელიწადში ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესება მოსალოდნელი არ არის, მთავარია არ დაარღვიოთ რეჟიმი, იყოთ აქტიური და უსაფუძვლოდ არ გარისკოთ.

ჩინურ მითოლოგიაში ვეფხვს დაჭიმულ მშვილდს ადარებენ, მას შეუძლია ნებისმიერ დროს გაისროლოს და მიზანში მოხვდეს, მთავარია მომენტი არ გავუშვათ ხელიდან და მზად ვიყოთ ამისთვის.

დაბოლოს, ერიდეთ ცეცხლის სტიქიას. ცეცხლთან თამაში სახიფათოა და ის პრობლემებს შეგიქმნით.

როგორ შემოვიტანოთ სახლში იღბალი

ამისთვის საუკეთესო მეთოდი ვეფხვის თილისმის შეძენაა. კარგი იქნება თუ ვეფხვის ფიგურა ნახევრად ძვირფასი ლითონისგან იქნება დამზადებული. კიდევ უფრო უკეთესი, თუ მასალა გამჭვირვალობით წყალს მოგვაგონებს, როგორც მაგალითად ბროლი ან შუშა.

არ იქნება ურიგო, თუ ვეფხვის ფიგურას ქალები სამკაულის სახით ატარებენ — სამოსზე ან ყელსაბამზე. ამასთან, აუცილებლად მოიშორეთ სახლიდან წინა წლების თილისმები და ფიგურები — ვეფხვს კონკურენტები არ უყვარს.

როგორ შეეხვდეთ ახალ წელს?!

ახალ წელს შეგიძლიათ შეხვდეთ როგორც სახლში, ასევე სტუმრად, მთავარია არ იყოს დიდი რაოდენობით ხალხი — ვეფხვს, რომელიც ბუნებით მარტოხელაა, სიმყუდროვე მოსწონს და არ უყვარს ხმაური.

ასე რომ, საახალწლო სუფრაზე უმჯობესია ნათესავები ან ახლო მეგობრები იყვნენ.

რა ჩავიცვათ?!

ტყუილად ფიქრობთ, რომ ვეფხვი მოხარული იქნება, თუ მის ფერებში გადაწყვეტილ, ან სულაც ვეფხვის ტყავის სამოსს ჩაიცვამთ. როგორც უკვე ვთქვით, მას კონკურენტები არ უყვარს. უმჯობესია აირჩიოთ ოქროსფერი, კრემისფერი, ქვიშის ფერი სამოსი. ასევე მისაღებია მწვანე ტონების შერევა, ან ტერაკოტის ფერის სამოსი.

რაც შეეხება აქსესუარებს, სასურველია წყლის სტიქიის ფერების არჩევა.

როგორ მოვანყოთ სახლი

სახლის მორთვისას ერიდეთ მყვირალა ფერებს, რომელიც აგრესიას ან საფრთხეს მიანიშნებს. გამორიცხეთ წითელი, ფორთოხლისფერი ტონები. შეიძლება მათ შფოთი გამოიწვიონ.

თუ ეს შესაძლებელია, სახლში შექმენით მდელოს იმიტაცია, გადასაფარებლები უნდა იყოს რბილი, ფუმფულა, ოქროსფერი ფერთა გამის. ვეფხვს ასევე მოეწონება, თუ სახლში ბუნებრივი მწვანე ფოთლოვანი მცენარეები იქნება. ნაძვის ხეზე აუცილებლად უნდა იყოს ვეფხვის ფიგურის სათამაშო.

ნინო თარხნიშვილი:

როგორ არ „მოვაპარვინოთ“ კოვიდ-19-ს შობა-ახალი წელი?!

◎ ᲨᲕᲘᲓᲘ ᲠᲩᲔᲕᲐ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲨᲔᲒᲝᲜᲔᲑᲐ

დარწმუნებული ვარ, ყველა რჩევა, რომელსაც ამ სტატიაში წაიკითხავთ, გძულთ, ყელში ამოგივიდათ, მოგბეზრდათ, მოგყირჭდათ. ალბათ, ამ სტატიის ავტორიც, მე, ნერვებს გიშლით, გაღიზიანებთ, რატომ შეგიწუხეთ გული ამ წინასაახალწლოდ, რატომ არ გაცდით სადღესასწაულო დღეებით ტკბობას, რატომ არ დავიღალეთ ერთი და იმავეს ჩიჩინით, მაგრამ აი, ამ ერთხელაც და ბარემ ყველამ ერთად ჩავუთქვათ სურვილი, რომ დაე, ეს იყოს ბოლო ახალი წელი, როცა ახლობლების, მეგობრების, კოლეგების გვეშინია, როცა მშობლები და შვილებიც კი ერთმანეთს ეჭვის თვალით ვუყურებთ, პირბადის ზომა-წონას ვუფასებთ, ვაქცინაციის ვადას ვუთვლით, კონტაქტებს ვუკონტროლებთ და დაე, 2022 წლიდან ჩვენი ცხოვრება დაუბრუნდეს ისევ იმ მდგომარეობას, როცა ერთმანეთს მაგრად ვეხუტებოდით, ვკოცნიდით, ერთმანეთის ჭიქიდან ყლუპ ყავას ვიპარავდით და ბოლოს და ბოლოს, ერთმანეთის სიცილს ვხედავდით და არ გვიწევდა მკითხაობა, ახლა ამას თვალები რომ აქვს მოჭუტული, მიცინის თუ ეჭვის თვალით მიყურებსო.

მოკლედ, ეს ამხელა შესავალი იმიტომ დავწერე, რომ ერთი მხრივ, ბოდიშს გიხდით თავსმოხვეული რჩევების გამო და მეორე მხრივ, რა ვქნათ, პანდემიის მერამდენეღაცა ტალღა გვიახლოვდება კოვიდ-19-ის ცინცხალი და სუპერ-გადამდები მუტაციის, „ომიკრონის“ სახით და თავებს თუ არ გავუფრთხილდებით, ვერც საცივს შევირგებთ და ვერც გოზინაყს. იმის იქით აღარ გავაგრძელებ.

აბა, როგორ გითხრათ ახლა, რომ ყველაზე უსაფრთხოდ შობა-ახალ წელს სახლში გამოკეტილი, ტელევიზორის წინ, ტახტზე მიმჯდარი და მარტო, ჰა ჰა, ოჯახის ორ-სამ წევრთან ერთად შევხვდებითმეთქი. რეალურად ასეცაა, მაგრამ არსებობს რამდენიმე გზა, როგორ არ მოვაპარვინოთ კოვიდ-19-ს შობა-ახალი წელი.

რჩევა 1 – ისევ ვაქცინაცია

რაღა თქმა უნდა, უპირველესი რჩევა ვაქცინაციაა. **თუკი სადღესასწაულო სუფრას მხოლოდ ვაქცინირებული სტუმრები და მასპინძლები შემოუსხდებიან, ამ შემთხვევაში, ინფიცირების რისკი იკლებს. მაგრამ „ომიკრონის“ გავრცელებასთან ერთად, სამწუხაროდ, ეს რისკი მაინც დიდია. სამხრეთაფრიკულმა შტამმა თამაშის წესები შეცვალა და თუკი აქამდე სრულად ვაქცინირებული, ანუ ორჯერ აცრილი ადამიანის ინფიცირების რისკი საკმაოდ დაბალი იყო, დღეს ორი აცრა დაცვის მყარ გარანტიას ვეღარ გვთავაზობს და ამიტომ, ეპიდემიოლოგები უკვე შეთანხმდნენ, რომ „ომიკრონისგან“ თავის დასაცავად და მყარი იმუნიტეტის გამოსამუშავებლად, საჭირო კოვიდ-ვაქცინის მესამე, ე.წ. ბუსტერ დოზაც.**

მოდი, აქვე გეტყვით, როდის და როგორ შეგიძლიათ მიიღოთ ბუსტერ-დოზა, რომ უფრო თამამად და ომახიანად შემოსცხოთ საახალწლო სუფრაზე „მრავალჟამიერი“ ან „ჯინგლ ჯინგლ ბელ“.

საქართველოში ბუსტერ-დოზის მიღება შეგიძლიათ 18 წლის ზემოთ ყველა მოქალაქეს, ვისაც მეორე დოზა ვაქცინა სულ მცირე სამი თვის წინ გაქვთ მიღებული. არ აქვს მნიშვნელობა მანამდე რომელი ვაქცინით იყავით აცრილი – „სინოფარმით“, „სინოვაკით“, „ასტრაზენეკათი“ თუ „ფაიზერით“. ბუსტერ დოზა შეგიძლიათ გაიკეთოთ ამ ვაქცინების მიღებიდან ზუსტად 3 თვის თავზე. საქართველოში ბუსტერ-დოზად გამოიყენება მხოლოდ „ფაიზერისა“ და „სინოფარმის“ ვაქცინები.

რჩევა 2 – გატესტილი სტუმრები

ინფიცირების რისკის შემცირების კიდევ ერთი გზა საახალწლო წვეულებაზე, კოვიდ-ტესტირებაა. შეგიძლიათ მოაწყოთ წვეულება, რომელზეც ვაქცინირებულ სტუმრებთან ერთად, ტესტირებული სტუმრებიც გეყოლებათ. მაგალითად, 72-საათიანი პისიარ ტესტი ან 48-საათიანი სწრაფი ტესტი, მაგრამ ეს გარკვეულ ხარჯებთან და არცთუ მცირე ხარჯებთანაა დაკავშირებული. თუმცა, ჩემი ვალი იყო მაინც შემეხსენებინა და მერჩია.

რჩევა 3 – როგორ შევეგებოთ სტუმრებს

ახლა, სტუმრად მოსულ მონატრებულ მეგობარს და ახლობელს ახლოს არ გაეკარო, შორიდან დაუქნიე ხელი-მეთქი რომ გითხრა, არასწორი ვიქნები, მაგრამ რა ვქნათ, ამ რეალობაში ჩაგვაყენა ამ მოუშორებელმა ჭირმა. მოკლედ, ხვევნა-კოცნა არ გინდათ.

ალტერნატივად შემიძლია შემოგთავაზოთ მუშტის, იდაყვის, ქუსლის, თეძოს მირტყმა, გნებავთ, მიჯახება. რაც უფრო მეტად გიყვარს და გენატრება ადამიანი, ამ ყველაფრის მირტყმა-შეჯახების პროცესი მით უფრო მტკივნეული იქნება, მაგრამ იმაზე მტკივნეული არა, ვიდრე კორონა.

რჩევა 4 – როგორ დავსვათ და სად გავუმასპინძლდეთ სტუმრებს

მოდით, ჯერ იმაზე შევთანხმდეთ, რომ ხალხმრავალი სუფრის გაკეთება ამ შობა-ახალ წელს არ ღირს. 10 კაცი საკმარისია. არა, შეიძლება არ არის საკმარისი, მაგრამ ამჯერად ასე აჯობებს.

თუკი სადღესასწაულო მაგიდა იძლევა საშუალებას, ცუდი არ იქნება, რომ სტუმრები, რომლებიც ერთი ოჯახიდან არ არიან, ერთი სკამის გამოტოვებით დასვათ. ეს დაახლოებით იმას ჰგავს, პანდემიის დასაწყისში, ცოლქმარს მანქანაში გვერდიგვერდ დაჯდომა რომ არ შეეძლო, მაგრამ თუ დაუკვირდებით, მთლად ეგრეც არ არის.

ოთახი, სადაც სადღესასწაულოდ შეიკრიბებით, ხშირად გაანიავეთ. კარგი იქნება, ერთი ფანჯარა მთელი საღამოს განმავლობაში შემოღებული დატოვოთ.

ვიცი, ძალიან მოგბეზრდათ, მაგრამ როცა ჭამა-სმით არ იქნებით დაკავებული, ჩემი მოკრძალებული რჩევით, ურიგო არ იქნება, თუკი პირბადეს გაიკეთებთ. სოპრანო თუ არ ხართ და სიმღერა პირის ფართოდ გაღებას არ გთხოვთ, თქვენ წარმოიდგინეთ, პირბადითაც კი შეიძლება ღიღინი გიტარის ჰანგებზე. თან ახალი წლის ღამეს, მგონი, ასეთი ღიღინი უფრო უხდება. რა ვიცი, მე ასე ვფიქრობ.

თუკი ეზოიანი სახლი გაქვთ, მაშინ შეგიძლიათ წვეულების ძირითადი ნაწილი ეზოში გადაიტანოთ. 31 დეკემბრის ღამეს, მაგალითად, თბილისში, მართალია დაბალი ტემპერატურა იქნება, მაგრამ გრძელვადიანი პროგნოზის თანახმად, ყინვა არ უნდა იყოს. რეგიონებში, განსაკუთრებით მთაში, რა თქმა უნდა, მეტად შეგცივდებათ, მაგრამ დაანთეთ ეზოში პატარა კოცონი, ცხელი ჩაი, ცხელი ყავა, ცხელი შოკოლადი, ღვინო თავისთავად და სუფთა ჰაერზე „ომიკრონებმა“ და „დელტებმა“, წესით და რიგით, განსაკუთრებული საფრთხე არ უნდა შეგიქმნათ. მაგრამ დისტანციის დაცვა არც ამ შემთხვევაში იქნება ზედმეტი.

რჩევა 5 – სუფთა ხელები

ამას, ალბათ, რჩევა და ცალკე ქვეთავის გამოყოფა პანდემიიდან ორი წლის თავზე აღარ სჭირდება, მაგრამ მაინც. სადღესასწაულო, ბრჭყვიალა კაბებს შესაძლოა არ ჰქონდეთ ჯიბეები ე.წ. სანიტაიზერებისთვის, ამიტომ ხელები ხშირად დაიბანეთ.

თუკი ძილი მოგერევათ, შეეცადეთ დაუბანელი ხელებით არ მოიფშვნიტოთ თვალები. არა, ახალი წლის ღამეს ვის ახსოვს ძილი და თვალების ფშვნეტა, მაგრამ მაინც. მოკლედ, ფხიზლად იყავით ხელებთან.

რჩევა 6 – გართობა სტუმრების გარეშეც შეიძლება

ამ ორ წელიწადში კი გაცვდა ეს იდეაც, მაგრამ თუკი ფიქრობთ, რომ მიუხედავად უსაფრთხოების ზომების მაქსიმალურად დაცვისა, მაინც დიდია რისკი ინფიცირების, ზედმეტ ნერვიულობას, აჯობებს, იმათ შეუამხანაგდეთ, ვისაც თქვენნაირად ეშინია ინფიცირების და Zoom-ფართი მოაწყოთ.

ბოლო-ბოლო, სხვა თუ არაფერი, შთამომავლობას მაინც შემოუნახავთ ფოტოს, როგორ აღნიშნეთ 2022 წლის მობრძანება ონლაინ.

რჩევა 7 – თუკი არც ონლაინ-ფართი გინდა და არც სტუმარი

ეს ონლაინ შეხვედრები, ონლაინ მეცადინეობები და თათბირები შეიძლება ისე მოგბეზრდა, რომ სიტყვა „ონლაინ“-ზეც კი გაჟრიალებს და გგონია, რომ კორონა გეწყება. ამიტომ არანაირი ონლაინ დღესასწაული და ონლაინ სტუმრები არ გჭირდება იმისთვის, რომ საახალწლო ღამე გაიხალისო და გინდ მარტომ, გინდ ოჯახთან ერთად, ის მყუდროდ და უშფოთველად გაატარო. თუკი ცხობა გიყვარს, შემიძლია ძალიან გემრიელი ჯინჯერის ორცხობილების რეცეპტი გირჩიო.

გინდა? მაშინ, გადაიწერე, თუ როგორც გინდა.

- **ფქვილი – 200 გრამი.**
- **დაფქული ჯინჯერი – 2 ჩაის კოვზი.**
- **ილი (იგივე კარდამონი) – 1,5 ჩაის კოვზი.**
- **დარიჩინი – 1,5 ჩაის კოვზი**
- **მიხაკი – 0,5 ჩაის კოვზი**
- **მუსკატი – 0,3 ჩაის კოვზი**
- **სოდა – 1 ჩაის კოვზი**
- **თაფლი – 1 სუფრის კოვზი**
- **კარაქი – 100 გრამი**
- **შაქრის ფხვნილი – 110 გრამი**
- **კვერცხი – 1 ცალი.**

ახლა რას ვუშვრებით ამ ყველაფერს:

ერთმანეთში ვურევთ ფქვილს, ჯინჯერს, ილს, დარიჩინს, მიხაკს, მუსკატს, სოდას და კარგად ვზელთ. ცალკე ვურევთ ერთმანეთში თაფლს, კარაქს, შაქრის ფხვნილსა და კვერცხს. შემდეგ ამ ორ მასას ვაერთებთ, გემრიელად გადავზელთ, გავახვევთ სამზარეულოს ცელოფანში და მინიმუმ ორი საათით ვტოვებთ მაცივარში. შეგიძლია გამოცხობამდე ერთი დღით ადრეც კი მოამზადო ცომი და შეინახო მაცივარში. როდესაც გადაწყვეტ ორცხობილების გამოცხობას, გამოიღებ ცომს მაცივრიდან, გააბრტყელებ და როგორც გაგიხარდება და რა ფორმებიც გაქვს – გინდ ვარსკვლავები, გინდ გულები, გინდ „ჯინჯერის კაცუნები“, იმ ფორმებით მოჭრით ცომს, გაახურებ ღუმელს 200 გრადუსამდე, შესვამ ორცხობილებს და ღუმელს ცოტათი დაუწევ. ორცხობილები დაახლოებით 10 წუთში მზად გექნება.

და მარტო ორცხობილები კი არ გექნება მზად, არა. მთელი სახლი გაიუღინთება ნამდვილი საახალწლო და ჯადოსნური სურნელით. შეგიძლია ფანჯრებიც კი გამოაღო და მეზობლებსაც შეახარბო.

შეგონება

მთავარია, ჯანმრთელად და კარგად ვიყოთ. დროსტარებას, ქეიფსა და კრამიტების თავზე მტვრევას კიდევ მოვასწრებთ.

სტატია მომზადებულია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რჩევებზე დაყრდნობით. ჩემი მოგონილი არ გეგონოთ.

რადიო „თავისუფლება“

არავითარი ენის მოჩლექა!

ვეფხვის წელს რომ ეკაფრება...

სიმართლე გითხრათ, ძნელად თუ წარმომედგინა, რომ შობა-ახალი წლის წინა სტრიქონები ასეთი სუსხიანი იქნებოდა, მაგრამ ხომ გსმენიათ – მოყვარეს პირში უძრახეო. ჰოდა, მოდით, ოლიმპიური სეზონი ჩვენც მწარე სიმართლით გავაცილოთ, მით უმეტეს მაშინ, როცა საუბარია ჩასაფრებულ კაცუნათა მიერ დანთხეული გესლით თვით მის ავტორთა მიმართ ბუმერანგივით დაბრუნებულ ლოგიკურ ხურდაზე, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ძველი რომაული ჭეშმარიტება – კეისარს კეისრისა.

მაშ ასე, საუკუნის დასაწყისში ისტორიული ბედუკუღმართობით ხელისუფლების სათავეში მოხვედრილი ფაშისტური პოლიტიკური ძალის მთავარი სამიზნე – თანამედროვე ქართული სპორტის გვირგვინოსანი, ყველა ტიტულის მფლობელი და „რეკორდების მანქანა“ **ლაშა ტალახაძე,** რომლის თვითნაბადი ტალანტის მასშტაბებიც სცილდება ძალოსნურ ფიცარნაგს და სადღაც შორს, ანტიკური ეპოქის გოლიათთა თანავარსკვლავედში მიგვაქანებს...

ნებისმიერ ცივილიზებულ სახელმწიფოში ასეთ ხელიხელსაგოგმანებელ გმირ ათლეტს ცივ ნიავს არ მიაკარებდნენ, მაგრამ იქ, სადაც ჯერაც წამლავენ საზოგადოებას მიკროფონიანი კოშმარის – ტელეკომპანია „მთავარის“ ზონდერ-ჟურნალისტები ნაპროკურორალი ცერბერის – წკვარამიას თამადობით, ძნელია დაიცვა ზოგადსაკაცობრიო იდეალები, მით უმეტეს მაშინ, როცა დაუმსახურებელი აგრესიის ობიექტს მიშარასტთა სექტის საძულველი მამულიშვილის – ბიძინა ივანიშვილის მსგავსად საჩხერის მკვიდრი წარმოადგენს.

შეგახსენებთ, რომ ნებსით თუ უნებლიედ, ყოფილმა მმართველმა პარტიამ 2008 წლის პეკინის ოლიმპიური თამაშებიც წაგვიბილწა, როცა ჩინური ფორუმის საზეიმო გახსნის ცერემონიალს ცხინვალის რეგიონში დანთებული უთანასწორო ბრძოლის ცეცხლი დაამთხვია, რომელიც რამდენიმე დღეში რუსეთის მიერ „სამხრეთ ოსეთისა“ და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებით დასრულდა, რა თქმა უნდა, წაგებული ომის მოგებულად გამოცხადებითა და ევროპელ ლიდერთა მონაწილეობით რუსთაველზე გაჩაღებული ტაშფანდურის ჩათვლით.

მართალია, ამჯერად საქმე სისხლისღვრამდე არ მისულა, მაგრამ, დაგვეთანხმებით, უპირველესი ფავორიტის მიმართ განხორციელებული მორალური ტერორი მნიშვნელობით არანაკლებ დამთრგუნველია და დიდი ჩემპიონის სიდიადეზე სწორედ ის ფაქტი მეტყველებს, რომ იგი სულიერად ამაღლდა ვაიქართველებზე და სამშობლოში მორიგი საპატიო ტიტულით დაბრუნდა!

გეკითხებით, მეტი რაღა მოეთხოვება რიგით მოკვდავს, რომელიც ჩვენს თვალწინ, ყოველგვარი პომპეზურობისა და განდიდების მანიის გარეშე ამაღლდა ზეკაცობამდე და პლანეტას ზემოდან გადმოხედა. იქნებ აწი მაინც გაუნათდეთ დაბინდული გონება მის სამარცხვინო თანამოძმეებს და ირწმუნონ, რომ „მხოლოდ ოსტატს ვერ ეწევა სიკვდილი“, მაგრამ, თუ გულახდილნი ვიქნებით, უნდა ვაღიაროთ, რომ ამის ალბათობა, სამწუხაროდ, მიზერულია. თუმცა, ვინ იცის...

ისე არ გაგვიგოთ, თითქოს ჩვენც კერპთაყვანისმცემელნი ვიყოთ. ღმერთმა დაგვიფაროს!

ზემოთ შემთხვევით არ გვიწოდებია მძლეთამძლე შტანგისტისთვის რიგითი მოკვდავი. დიახ, არც იგი გახლავთ დაზღვეული სადავო პირადი პოზიციისგან, რაც კარგად გამოჩნდა ონლაინ – კაზინოების შეზღუდვასთან დაკავშირებული ვნებათაღელვის დღეებში. რას ვიზამთ – პატივი უნდა ვცეთ თითოეულ, თუნდაც ჩვენთვის მიუღებელ აზრს, ოღონდ შევთანხმდეთ, რომ ამით არავის არაფერი აკლდება.

ეს რომ ასეა, საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცის, ახლო წარსულში მგზნებარე ნაცის **გიორგი ასანიძის** მაგალითიც ადასტურებს, რომელმაც ბევრის თვალში ფიცარნაგზე მოხვეჭილი დამსახურებული ავტორიტეტი სპორტის აკადემიის (ყოფილი ფიზკულტურის ინსტიტუტის) ირგვლივ განვითარებული მოვლენების უმადური შეფასებით შეიბღალა და ურცხვად განაცხადა – აღნიშნულ უმაღლეს სასწავლებელს ჩემთვის არაფერი მოუციაო. რადგან ყოფილი ნაცი (ისევე, როგორც ყოფილი „კაგებეშნიკი“) ბუნებაში არ არსებობს, ძნელია ვირწმუნოთ, რომ საჩხერელი (დიახ, ისიც საჩხერელია) ჩემპიონის მსოფლმხედველობამ მეტამორფოზა განიცადა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ უკანასკნელ წლებში იგი საკუთარი მოწოდების ერთგულია და შეგირდებს სამშობლოს პოპულარიზაციაში ეხმარება.



და აი, მივადექით ტოკიოს კიდევ ერთ ტრიუმფატორს – სულით პოეტსა და შესანიშნავი ლექსების ავტორს **ლაშა ბექაურს,** რომელმაც იაპონურ ტატამზეც შექმნა მგოსნის სადარი შედევრები და ბოლომდე მოუშუშებელი მხრის ტრავმით, ფაქტობრივად ცალი ხელით ააბიჯა ოლიმპზე!

რა თქმა უნდა, ირიბად მისი სახელისთვისაც სცადეს კაცუნებმა ჩირქის მოცხება, როცა საჩემპიონო ბანკეტის შემდეგ ერთი ვაი-ვიში ატეხეს – ნახეთ, ქვეყნის პრემიერ-მინისტრი გაგანია პანდემიის დროს ხალხმრავალ სუფრაზე ქეიფობსო!

თქვე მამაცხონებულებო – ვის – ვის და თქვენ ნამდვილად არ ამოგელებათ ხმა კორონავირუსის საწინააღმდეგო რეგულაციების დარღვევის თაობაზე, რადგან უკვე მთელი ორი წელია არაფრისმომტან, მხოლოდ გულის მოსაფხან მიტინგებზე შეკრებებითა თუ საშიმშილო კოტრიალით ვირუსის გამავრცელებელნი ბრძანდებით როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით – მოგეხსენებათ, მიშიზმი დღემდე მწვავე ინფექციური ბაცილაა.

როცა მიმავალ სეზონს ვაჯამებთ, აუცილებლად უნდა გავამახვილოთ ყურადღება იმ სტრუქტურულ რეფორმაზე, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა გაერთიანებით რომ განხორციელდა და ახალმა მინისტრმა – **თეა წულუკიანმა** პრიორიტეტად უშუალოდ ცალკუეულ ფედერაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა დაისახა.

ალბათ, საკითხისადმი მსგავს მიდგომას უნდა ვუმადლოდეთ კალათბურთის ფედერაციის სათავეში მომხდარ საკადრო ცვლილებას, რომელმაც წერტილი უნდა დაუსვას გავრცელებულ ხმებს ფიბადან გადმორიცხული სოლიდური თანხების არამიზნობრივად ხარჯვის შესახებ და ხელი შეუწყოს საგაისო ევრობასკეტისთვის ახალი მულტიფუნქციური დარბაზის მშენებლობის დროულად დასრულებას.

ჩვენში სპორტის კიდევ ერთ საკულტო სახეობაში – რაგბიში კიდევ უფრო მდუღარე პროცესები ვითარდებოდა, მაგრამ საბედნიეროდ მხარეებმა გონივრულ კომპრომისს მიაღწიეს და სწორედ გაერთიანებული ქართული სარაგბო თემის აქტივში უნდა ჩაითვალოს როგორც „ბორჯღალოსანთა“, ისე „შავი ლომის“ აღიარება – დაფასებისა და მოპოვებული გამარჯვებების შეუქცევადობა. ვიმედოვნებთ, აღნიშნული მაგალითები სამომავლოდ გათითოკაცების შემთხვევებს ჩანასახშივე გამორიცხავს.

სამწუხაროდ, ჯერაც გერის როლში რჩება მკლავჭიდი, არადა, მართალია, იგი კვლავაც არაოლიმპიური სახეობაა, მაგრამ უკვე ათწლეულებია, უმაღლესი რანგის ფორუმებზე მოხვეჭილი მრავალრიცხოვანი მედლებით გვანებივრებს. კიდევ უფრო საგანგაშოა ურთიერთობის გარკვევის ის ფორმები, პერიოდულად ფედერაციის თავკაცებსა და თვით სპორტსმენებს შორის ფიზიკურ ანგარიშსწორებაში რომ გადაიზრდება ხოლმე.

დაგვეთანხმებით, **ვახტანგ მუსელიანის** ჩაყრილი ნერგი ცივილური მეთოდებით უნდა ხარობდეს.

დაბოლოს, მისი უდიდებულესობა ფეხბურთი, რომელიც, მართალია ბათუმის ახალი კოხტა სტადიონის გახსნამ და ზღვისპირული კლუბის პირველმა გაჩემპიონებამ დაამშვენა, მაგრამ გულშემატკივართა დიდი არმიისთვის საინფარქტო თემად რჩება ეროვნული ნაკრები, რომელიც სამამულო ფეხბურთის ბარომეტრია.

უდავოა, რომ უპირველესად გუნდის შედეგების შეფასებისას განმსაზღვრელია მწვრთნელის ფაქტორი და ადვილი შესაძლებელია, ვიჩქარეთ **ვილი სანიოლისადმი** დადებითი ავანსის გაცემისას, მაგრამ მისი მოღვაწეობის ავ-კარგი ხომ მნიშვნელოვანწილად თვით მოთამაშეთა კლასზეა დამოკიდებული?

ჰოდა, ალბათ, „ჯვაროსანთა“ ტალანტ ლიდერებს – **გიორგი ჩაკვეტაძესა** და **ხვიჩა კვარაცხელიასაც** დათვური სამსახური გავუწიეთ ეპითეტთა სიმრავლით.

მოკლედ, მადლიერებით ვაცილებთ 2021-ს და უკეთესის იმედით ვეგებებით 2022-ს.

გილოცავთ!

გია პლატონიშვილი

◎ კარატე

ოსტატი და შეგირდები

10-მდე ქვეყნის 500-მდე კარატისტი მონაწილეობდა ამ დღეებში თბილისში საქართველოს კარატეს ფედერაციის (პრეზიდენტი – კახა ბასილია) ორგანიზებით გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო ჩემპიონატში „OPEN TBILISI“.

ტურნირში ამჯერადაც წარმატებით იასპარეზეს საქართველოს შოტოკან კარატეს კონფედერაციის გუნდის (უფროსი ინსტრუქტორი – **მზეჭაბუკ მახარაძე**) წევრებმა: 14-15 წლიანებს შორის. **ვლადიმერ კვაჭანტირაძე.** II ადგილი. ინდივიდუალური კატა. 14-15 წლიანებს შორის. **ნიკა ყარმაზანაშვილი.** I ადგილი. ინდივიდუალური კატა. 16-17 წლიანებს შორის. **გურამ იობაშვილი.** III ადგილი. ინდივიდუალური კატა. 16-17 წლიანებს შორის. **ანდრია კარბაია.** II ადგილი. ინდივიდუალური კატა. 18-20 წლიანებს შორის. **გურამ იობაშვილი.** III ადგილი. ინდივიდუალური კატა. 18-20 წლიანებს შორის. **ანდრია კარბაია.** I ადგილი. ინდივიდუალური კატა.

მოკლედ

სუმო

მართლაც რომ შთამბეჭდავი კარიერული ნადავლით ხვდება ახალ სეზონს 2018 წლის იანვრის იმპერატორის თასის მფლობელი ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი), რომელიც, მართალია, შარშანდელი ჩავარდნის გამო იაპონიის სუმოს ასოციაციის უკანასკნელ რეიტინგ-ლისტში (ბანძუკე) დაქვეითდა, მაგრამ ელიტური მაკუუჩი დივიზიონიდან გავარდნას გადაურჩა.

ყოფილი ოძეკი, რომელიც ამჟამად დასავლეთის მე-15 მაეგაშირაა, პროფესიულ სუმოში 2006 წლიდან ასპარეზობს, 93 ბაშოში მიიღო მონაწილეობა და ამ ხნის განმავლობაში დოჰიოზე გამართული 630(!) ორთაბრძოლა მოიგო. იგი მე-16 სეზონს იანვრის ბაშოთი გახსნის და, ვიმედოვნებთ, აწი მაინც აირიდებს ტრავმებს.

კალათბურთი

2017 წელს გიორგი კოღუაშვილმა ამერიკაში დააარსა „ბრუკლინის საკალათბურთო აკადემია“, ხოლო შარშან, პანდემიის დასაწყისში ბავშვობის მეგობრებთან – გივი ბაძრაძესთან, ნიკა მეტრეველთან და გუგა პატარაიასთან ერთად მისი ფილიალი თბილისშიც დააფუძნა.

სწორედ მან უმასპინძლა სააგენტო „პფს“-თან თანამშრომლობით ორგანიზებულ კემპს, რომელშიც 13-დან 18 წლამდე ასაკის 60 მოზარდი მონაწილეობდა. შემდეგი ნაბიჯი მოთამაშეთა ისეთი მომზადება იქნება, რომ აღნიშნული კომპანიის დახმარებით მოხვდნენ აშშ-ის კოლეჯებში და სრული დაფინანსება მიიღონ.

ფეხბურთი

რუსთავის „ფოლადის“ სტადიონმა (დირექტორი თამაზ გაბრიჭიძე) 2009 წელს დაბადებულ ბავშვთა მონაწილეობით გამართულ „ქვემო ქართლის 2021 წლის თასის“ გათამაშებას უმასპინძლა, რომლის ორგანიზატორიც რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია იყო (პრეზიდენტი – გია ტუხაშვილი).

ფინალში „რუსთავი-1“-მა (მწვრთნელები **გურამ ჯაფარიძე, გიორგი ვარდოსანიძე**) 2:0 სძლია ბოლნისის „სიონს“, მესამე ადგილისთვის გამართული შეხვედრა კი „რუსთავმა“ 3:0 მოუგო „შტურმს“.

◎ სეზონის ფინიშზე

საქმიანად გავაცილეთ

„თბილისი მარიოტში“ საქართველოს რაგბის კავშირის მორიგი საერთო კრება (ყრილობა) გაიმართა, რომელსაც 36 ნამდვილი წევრიდან 33 დაესწრო.

აღსანიშნავია, რომ ნამდვილ წევრთა სიას სარაგბო კლუბი „ავჭალა“ დაემატა (ერთი ხმის უფლებით). ქვეყანაში არსებული კოვიდპანდემიის გათვალისწინებით, საერთო კრებაზე (ყრილობაზე) დასწრების უფლება ნამდვილი წევრის (დელეგატის) ნდობით აღჭურვილ მხოლოდ ერთ პირს, ან უფლებამოსილი პირის წარმომადგენელს ჰქონდა.

ყრილობა ვეტერანი მორაგბეების დაჯილდოებით დაიწყო. ისინი ვეტერან მორაგბეთა კავშირის პრეზიდენტმა **ავთანდილ ღიბრაძემ** წარადგინა, რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **იოსებ ტყემალაძემ** და გამგეობის თავმჯდომარემ **დავით კაჭარავამ** კი სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.

ეს ვეტერანი მორაგბეები არიან: **გივი მრელაშვილი, გოგი ტონია, გია ჯაფარიძე, გელა მიქაბერიძე, თენგიზ რუხაძე, ნოდარ კაჭარავა, ვალტერ კაპანაძე, ირაკლი კიზირია, რომეო ღვინიაშვილი, მურად თოფურიძე, გემენი ღადუა, გივი ფაჯიშვილი, სერგო კეშელავა, რამაზ სვანიძე, ოთარ ალავიძე, თენგიზ გულვერდაშვილი, სულიკო ტყეშელაშვილი, დავით რეხვიაშვილი, გიზო ცქიტიშვილი, ზურაბ ცერცვაძე** და **გოგი ყუფარაძე.**

ამის შემდეგ რაგბის კავშირის პრეზიდენტმა იოსებ ტყემალაძემ დელეგატებს განვლილი თვეების ანგარიში ჩააბარა. მან იმ პროგრესზე ისაუბრა, რასაც რაგბის კავშირმა ამ პერიოდში მიაღწია – დაგროვილი დავალიანების შემცირება; რაგბის კავშირის ბიუჯეტის 10 მილიონი ლარით გაზრდა; რაგბის კავშირის სტრუქტურული ცვლილებები; სახელმწიფოსთან ერთად 100 მოედნის პროექტი, რომელთა ნაწილის დაპროექტება-მშენებლობა უკვე დაწყებულია; ფრენჩაიზი „შავი ლომი“; ახალი სარაგბო „ბესტსელერი“ ჟურნალი Rugby World Georgia ქართულ და ინგლისურ ენებზე; რაგბი TV, რომელმაც ახალი სიცოცხლე შეიძინა, გაუმჯობესდა მისი გადაცემების ხარისხი და მომავალშიც არაერთი სიახლის შემოტანა იგეგმება; სატელევიზიო სერიალი – „ის ბიჭები“, რომელსაც მამა-შვილი **თემურ** და **გელა ბაბლუანები** ქართული რაგბის ისტორიაზე გადაიღებენ და სამ სეზონში, 24 სერიაში გააცოცხლებენ იმ მოვლენებს, რომელიც ქართულმა რაგბიმ გაიარა; შიდა ჩემპიონატების ხარისხის ამაღლება.

დღის წესრიგის თანახმად, იოსებ ტყემალაძემ დელეგატებს მეორე საკითხად რაგბის კავშირის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი წარუდგინა. საუბარი შეეხო რაგბის კავშირსა და პოტენციურ პარტნიორებთან ურთიერთობას. მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია როგორც ქართულ, ასევე უცხოურ კომპანიებთან. დელეგატებმა ბიუჯეტი, რომელიც 27 500 მილიონ ლარს შეადგენს, ერთხმად დაამტკიცეს.

ყრილობის ბოლოს იოსებ ტყემალაძემ დელეგატებს აჭარის რაგბის სამხარეო ფილიალის აღდგენასთან დაკავშირებით მიაწოდა ინფორმაცია და მათ მისი ხელმძღვანელი ილია ვერძაძე წარუდგინა. ეს იყო გაცნობითი სახის შეხვედრა და ბატონმა ილიამ დამსწრეებს ის სიახლეები გააცნო, რომლებიც აჭარის რეგიონში იგეგმება.

საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა იოსებ ტყემალაძემ საერთო კრების მონაწილეებს მადლობა გადაუხადა თბილი და სამუშაო გარემოსთვის. მან ქართულ სარაგბო თემს მიულოცა დამდეგი შობა-ახალი წელი, ყველას უსურვა ჯანმრთელობა, მხნეობა და მომავალი გამარჯვებებით ერთად გახარება.

„ქართველო ხალხო!
სულ ძლიერდებოდეს ძალა შენი
სულისა, შენი შემოქმედებისა!“

> **ვის არ შვენოდა სიცოცხლე, მაგრამ ის სხვანაირად ლეონიძეს შვენოდა, გოგლას.“**
> **ნომადი ბართაია**

– ძალიან უყვარდა პაპას ყოველივე, რაც ახალ წელთან, წინასაახალწლო ვითარებასთან იყო დაკავშირებული. იქნებ იმიტომაც, რომ თავადაც ახალ წლამდე სულ რამდენიმე დღით ადრე, 1899 წლის 27 დეკემბერს (ძველი სტილით) დაიბადა, – მითხრა დიდი გიორგი (გოგლა) ლეონიძის შვილიშვილმა, ბატონმა **გიორგი გვინაჩიძემ.**



იმ დღეს, 27 დეკემბერს, ერთმანეთს ალექსანდრეს ბაღის ქვედა შესასვლელში დადგმულ მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურის მშვენებისა და სიამაყის გოგლა ლეონიძის შესანიშნავ ძეგლთან შევხვდით, და სწორედ მაშინ იყო, რომ დრო ვიხელთე და ნაუცბათევი ინტერვიუ ჩამოვართვი.

– ისევე, როგორც თითოეული ჩვენგანი, პაპაც ახალი წლის მობრძანებას მუდამ ქვეყანაზე სასიკეთო ცვლილებათა განხორციელების, ხვავისა და ბარაქის მატების წადილს უკავშირებდა, ამიტომაც მისი დადგომისა ეიმედებოდა და ეს გრძნობა მით უფრო ძალუმად იპყრობდა, რაც ეს დრო ახლოვდებოდა, – განაგრძო ბატონმა გიორგიმ. – სასიკეთო ცვლილებათა მოლოდინით, ჭირისა და ვარამის უკან მოტოვების ნატვრითაა გაჯერებული მისი სიცოცხლის ბოლო, 1966 წლის დადგომის წინა დღით, 1965 წლის 31 დეკემბერს წარმოთქმული ცნობილი რადიომიმართვა, რომელიც მან თავისი არაჩვეულებრივი ომახიანი ხმით, ბარაქიანი ქართული წარმოთქვა:

„ქართველო ერო! იყავ ღონეძლიერი, ლაღი, ბედნიერი, კერა, ოჯახი და სამშობლო გიბედნიეროს! თაფლის სიტკბოთი შეგერგოს ახალი წელი! სულ გამარჯვებასა, მზეგრძელობასა, სიყვარულსი და დაულეველ სიხარულში!“

პოეტის გარდაცვალების შემდეგ კი გოგლას ოჯახის წევრები, ნათესავ-მეგობრები ყოველთვის აღნიშნავენ მის დაბადების დღეს, პატივს მიაგებენ მის ხსოვნას, როგორც ეს წლეულს 27 დეკემბერს იყო, როცა გოგლა ლეონიძის დაბადებიდან 122 წელი შესრულდა.

მგოსნის ძეგლთან შეკრებილებმა მის ფერხთ დადებული ყვავილებით კიდევ ერთხელ გამოხატეს ღრმა პატივისცემა და სიყვარული საამაყო მამულიშვილის მიმართ.

ამ მცირედი ინფორმაციის დასასრულს, აუცილებლად მინდა გადმოგცეთ გოგლა ლეონიძის ძეგლთან ბატონ **ვახტანგ ვეფხვაძის** ნათქვამი, რომლის შემწეობით სულ ახლახან ქართველმა მკითხველმა გოგლა ლეონიძისადმი მიძღვნილი შესანიშნავი წიგნი მიიღო:

– რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, რომ ოჯახის წევრები და ახლობლები გოგლა ლეონიძის ხსოვნას პატივს მიაგებენ და ღირსშესანიშნავ თარიღებსაც აღნიშნავენ, მაგრამ, ჩემი აზრით, მის მშობლიურ კახეთში, პატარძეულში, გოგლაობის, ამ არაჩვეულებრივი, ჭეშმარიტად სახალხო დღესასწაულის აღდგენაა აუცილებელი, რასაც ჯეროვანი ყურადღების მიქცევა და პატრონის გამოჩენა სჭირდება!

ოთარ ტურაბელიძე

CNN-მა საქართველოს კურორტებსა და დღესასწაულებზე სტატია გამოაქვეყნა

საქართველოს ტურისტული მიმართულების შესახებ სტტ-მა მედიაპლატფორმაზე კიდევ ერთი სტატია გამოაქვეყნა. სტტ-ზე სტატიები საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მარკეტინგული კამპანიის ფარგლებში ვრცელდება.

„საქართველოს საოცარი ზამთარი და გახანგძლივებული დღესასწაულები“, – ამ სათაურით გამოქვეყნებულ სტატიაში აღწერილია გუდაური, სვანეთის სამთო კურორტები, თბილისის საახალწლო მორთულობა და რელიგიური დღესასწაულები, რომელსაც ზამთარში აღნიშნავენ.

„ზამთარს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ბევრი დღესასწაული მოაქვს, მაგრამ საქართველოში დღესასწაულები უფრო ხანგრძლივია და ის თითქმის მთელი იანვარი გრძელდება. საქართველო საუკეთესო მიმართულებაა ზამთარში დასასვენებლად, საქართველოს სამთო კურორტები დამსვენებლებს ზამთრის სპორტის უამრავ სახეობას სთავაზობს“, – წერს CNN-ი საქართველოს სამთო კურორტების შესახებ. ავტორი აღნიშნავს, რომ ქართველებისთვის ახალი წელი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ დღესასწაულს ორჯერ აღნიშნავენ.

„დღესასწაული 31 დეკემბერს იწყება, როდესაც საჩუქრებს ცვლიან და ოჯახთან ერთად ახალ წელს ზეიმობენ. სუფრა გაწყობილია ტრადიციული კერძებით, თოვლის ბაბუა ბავშვებს ტკბილეულსა და საჩუქრებს ურიგებს. როგორც წესი თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე საახალწლო კონცერტი იმართება, სადაც ახალი წლის დადგომის ათვლას იწყებენ, რაც ფეიერვერკით სრულდება“, – წერია სტტ-ის სტატიაში.

ჩინეთის ზამთრის ოლიმპიადაზე, რუსეთის უსაფრთხოების პროექტსა და შობის წინა დღეს სათნოების შეუდარებელ მაგალითზე...

ამერიკა ბოიკოტს უცხადებს პეკინის 2022 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებს ჩინეთში ადამიანის უფლებების დარღვევის გამო. ჩინეთში ცხოვრობენ უიღურები, თურქული ეთნიკური წარმოშობის ხალხი, რომელთაც ავტონომიური რეგიონი აქვთ ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთში. ევროპაში ამბობენ, რომ მათი და სხვა მუსლიმი უმცირესობების უფლებები სასტიკად ირღვევა. ზოგიერთი საერთაშორისო ორგანიზაცია პროცესს გენოციდის კვალიფიკაციას აძლევს. ამას ემატება ჰონკონგის პრობლემა, სადაც პეკინი დემოკრატიულ ძალებს ავიწროებს. ბოიკოტის რეალური მიზეზი კი ჩინეთის ჰეგემონიის შეჩერებაა.

ამერიკას ჩინეთის საერთაშორისო იმიჯის შელახვა სურს, რის გამოც ყურადღება ჩინეთში ადამიანის უფლებების დარღვევაზე გადააქვს. საუბარია მხოლოდ დიპლომატურ ბოიკოტზე. ამერიკელი სპორტსმენები ოლიმპიადაში მონაწილეობას მიიღებენ, თუმცა, ოფიციალური დელეგაცია ვაშინგტონიდან პეკინში არ გაემგზავრება. იგივე მიდგომა გავრცელდება პარალიმპიურ თამაშებზეც. გადაწყვეტილებას წინ უსწრებდა ნოემბერში ამერიკის პრეზიდენტის განცხადება ბოიკოტის შესაძლებლობის თაობაზე. ოლიმპიური თამაშების ბოიკოტს დიდი ხნის ისტორია აქვს საერთაშორისო არენაზე. მაგალითად, ესპანეთმა, ნიდერლანდებმა და შვეიცარიამ 1956-ი წლის მელბურნის ზაფხულის ოლიმპიადაში არ მიიღეს მონაწილეობა. ეს ქვეყნები უნგრეთში დემოკრატიული რევოლუციის ჩახშობას აპროტესტებდნენ. 1960-70-იან წლებში აფრიკის ქვეყნებმა ბოიკოტის მუქარით აიძულეს მსოფლიო ოლიმპიური კომიტეტი, სამხრეთი აფრიკა მოეხსნათ ოლიმპიადიდან.

1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადას მთელმა დასავლეთმა გამოუცხადა ბოიკოტი ავღანეთში საბჭოთა სამხედრო ძალების შეჭრის გამო. სამაგიეროდ, საბჭოთა კავშირმა და მთლიანად სოციალისტურმა ბანაკმა 84 წლის ლოს-ანჯელესის ოლიმპიადაში არ მიიღეს მონაწილეობა. ახლა კი, ამერიკულ პროტესტს შეუერთდა ინგლისი, ავსტრალია, კანადა, ავსტრია და ლიტვა. ბოიკოტს დიდი გამოხმაურება მოჰყვა ჩინეთში, რომლმაც განაცხადა, რომ ვაშინგტონის საპასუხოდ, პეკინი მკაცრ კონტრზომებს მიიღებს. შტატები დიდ ფასს გადაიხდის თავისი მცდარი ქმედებისთვისო, თქვა ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსპიკერმა, რადგან ამერიკამ ოლიმპიურ პრინციპებს უღალატაო. პეკინის პოზიცია კიდევ უფრო გამძაფრდა მას შემდეგ, რაც მსოფლიო ქვეყნების რეაქცია ამერიკის განცხადებაზე არაერთგვაროვანი გამოდგა. არ არის გამორიცხული, კიდევ ბევრმა ქვეყანამ გაიზიაროს ამერიკის პოზიცია.

* * *

17 დეკემბერს რუსეთ-უკრაინის დაძაბულობის ფონზე, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თავისი ეროვნული უსაფრთხოების გარანტიების პროექტი გამოაქვეყნა, რომლის მიხედვით, ნატოს შეიარაღებული ძალების 1997 წლის დროინდელ პოზიციებზე დაბრუნებას ითხოვს. საუბარია, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ნატოში მიღებამდე არსებული მდგომარეობის აღდგენაზე. გარდა ამისა, მოსკოვი ალიანსის აღმოსავლეთისკენ გაფართოების შეჩერებას ითხოვს, უსვამს რა ხაზს უკრაინის ნატოში გაწევრების დაუშვებლობას და, ზოგადად, სამხედრო საქმიანობის შეწყვეტას უკრაინაში, აღმოსავლეთ ევროპაში, კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში. ფაქტობრივად, რუსეთმა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებზე მისი გავლენის აღდგენა მოინდომა. დასავლეთის პრესამ რუსეთის ეს მოთხოვნა იალტის 1945 წლის კონფერენციაზე ევროპის გადანაწილებას შეადარა.

რუსეთის მოთხოვნის საპასუხოდ, ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა განცხადა, რომ ყველა ქვეყანას აქვს უფლება, აირჩიოს თუ რა სახის უსაფრთხოების შეთანხმების მონაწილე სურს იყოს. მისივე შეფასებით, მიუღებელია, რომ რუსეთი გავლენის სფეროების ძველი სისტემის აღდგენას ლამობს. ერთი სიტყვით, რუსეთი დასავლეთს ემუქრება. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ალექსანდრ გრუშკომ პირდაპირ თქვა: ნატოს ორი გზა აქვს: ან სერიოზულად მოეკიდოს იმას, რაც განხილვის მაგიდაზე დავდეთ, ან სამხედრო არჩევნის წინაშე დავაყენებთ ალიანსსო.

ამასთან, რუსეთი დასავლეთს აჩქარებს და ამბობს, რომ მას სასწრაფოდ ესაჭიროება ამერიკის პასუხი მის

მიერ წამოყენებულ მოთხოვნებზე, და არ გამორიცხავს საომარ ძალისხმევას, თუ შემხვედრ პოლიტიკურ ნაბიჯებს არ გადადგამს დასავლეთი. ამერიკა კი, რუსეთის დასაშოშმინებლად, დროის გაწელვას ცდილობს. ბაიდენისა და პუტინის მრჩეველებს საგანგებო სატელეფონო საუბარი ჰქონდათ საკითხთან დაკავშირებით, რომლის დროსაც ითქვა, რომ ამერიკა მზადაა რუსეთთან გამართოს სხვადასხვა ფორმატის დიპლომატური შეხვედრები, იქნება ეს ნატო-რუსეთის საბჭოს თუ ეუთოს შესაბამისი არხები. თავისი კატეგორიული ულტიმატუმით რუსეთმა მთელი მსოფლიო შეაშფოთა და დააბნია, დაარღვია რა დიპლომატიის ყველა ნორმა.

დიპლომატიის ისტორიაში იშვიათად შეხვდებით ფაქტს, რომ თავისი წინადადება ამ სახით გაესაჯაროებინა ქვეყანას. რუსეთმა ხომ აღნიშნული დოკუმენტი პირდაპირ ინტერნეტ-სივრცეში გაავრცელა! მიმართვაში, მისი მოთხოვნები მკაფიოდაა გამოხატული, მაგრამ არაფერია ნათქვამი რუსეთის მხარის მიერ აღებულ გარანტიებზე და ვალდებულებებზე. 1962 წლის კარიბის კრიზისის შემდეგ, მოსკოვს დასავლეთთან ასეთ ხისტ ენაზე არასოდეს არ უსაუბრია.

* * *

ეს ამბავი პირველი მსოფლიო ომის დროს მოხდა, 1914 წელს, შობის წინა დღეს. სათნოების შეუდარებელი მაგალითი თუ გინდა მონახო ომების ისტორიაში, სწორედ ეს იყო. საშობაო ზავი - ასე ეწოდა იმ სამშვიდობო ეპიზოდს, რომელმაც მაშინ, იმ გაგანია ომის დროს გამოანათა, და ერთი დღით მაინც აგრძნობინა ადამიანებს მშვიდობისა და სიყვარულის სიტკბო. ჩემი თქმა რად უნდა იმას, რომ კაცობრიობის წარსული ძალადობისა და ადამიანთა მიერ ერთმანეთის განუკითხავი ხოცვა-ჟლეტის ისტორიაა. მოსაგონრად ის ორი საშინელი ომიც კმარა, რომელმაც მე-20 საუკუნის მსოფლიო ცეცხლისა და მახვილის ერთ დიდ ასპარეზად აქცია.

ისტორია შეგვახსენებს: პირველი მსოფლიო ომი 1914 წლის 28 ივლისს დაიწყო ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრის, დიდი ჰერცოგის, ფრანც ფერდინანდის მკვლელობის საბაბით ბოსნიის ქალაქ სარაევოში. ევროპა ორ ბანაკად გაიყო. ავსტრია-უნგრეთი, გერმანია, თურქეთი და იტალია ერთ მხარეს და საფრანგეთი, ინგლისი, ბელგია, რუსეთი და ამერიკა, მეორეს. ომი 1918 წლამდე გაგრძელდა. მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე, ეს იყო ყველაზე ფართომასშტაბიანი სამხედრო კონფლიქტი ისტორიაში, რომლის დროსაც გერმანიამ ქიმიური იარაღიც კი გამოიყენა. ასე იყო თუ ისე, 1914 წლის დეკემბერში გერმანელი და ავსტრიელი მეომრები ფრონტის ხაზის აქეთ, და ფრანგი, ბელგიელი და ბრიტანელი ჯარისკაცები საბრძოლო ხაზის იქით, ცივ და სველ სანგრებში იწვნენ და ერთმანეთს ტყვიას უშენდნენ, მაგრამ შობის წინა დღეს მოხდა სწორედ ის სასწაული, როცა ორივე მხარემ ერთად შეწყვიტა ცეცხლი ერთმანეთისთვის შვების მისაცემად და ქრისტეს შობის დღის საზეიმოდ. მართალია, ეს დროებითი, მხოლოდ ერთდღიანი ზავი იყო მათ შორის, მაგრამ იყო სანუკვარი გაელვება, საშობაო სიმღერებით, ხალისითა და წამიერი, მაგრამ მაინც იმედით სავსე. დიახ, ემღერებოდათ, ჭრილობის გადასახვევადაც მოიცალეს და თავთავიანთ მიცვალებულებსაც ღირსეულად მიაყარეს მიწა. ერთ ინგლისელ ჯარისკაცს უთქვამს, ზავმა პირდაპირ მეომართა რიგებიდან ამოხეთქაო, მიუხედავად დაძმობილების საწინააღმდეგო ბრძანებებისა. ყველაფერი ასე დაიწყოო, განაგრძობს მემატიანე მეომარი: გერმანელებმა საშობაო სიმღერა The Silent Night ჯერ გერმანულად, მერე კი, ინგლისურად იმღერეს. ამის შემდეგ, ჩვენ Oh, Come, All Ye Faithful ვიმღერეთ. გერმანელები ამ სიმღერის ლათინური ვერსიით, ანუ ორიგინალით შემოგვიერთდნენ, რომელსაც Adeste Fideles ეწოდება. ჩემთვის ვიფიქრე, ყვება ჯარისკაცი, რა საოცარი მომენტია-მეთქი — ორი ერი, მსოფლიო ომის დროს, საშობაო სიმღერას ერთად მღერის. მეორე დილით, გერმანელი ჯარისკაცები სანგრიდან ამოვიდნენ. ისინი ინგლისურად ყვიროდნენ: Merry Christmas! Merry Christmas! ანუ შობას გილოცავთო. გერმანელებს ხელში ეჭირათ წარწერები: **თუ არ გვესვრით, ჩვენც არ გესვრით.** მთელი დღის განმავლობაში, ჯარისკაცები ერთმანეთს სიგარეტებს, საკვებს, ღილებსა და ქუდებს უცვლიდნენ. ასევე, ჯარისკაცებმა, მათ საბრძოლო პოზიციებს შორის არსებულ მიწაზე, დახოცილი ჯარისკაცების დამარხვაც შეძლეს. მანამდე კი, ნებისმიერ ჯარისკაცს, ვინც ამ ტერიტორიაზე გამოჩნდებოდა, საწინააღმდეგო ბანაკიდან ტყვია ხვდებოდა ხოლმე.

იმ არაჩვეულებრივი ღამის შესახებ, ჯარისკაცებმა, რომლებმაც დასავლეთის ფრონტი ბრძოლით გაიარეს, არაერთი ამბავი შემოუნახეს თაობებს, ზოგმა წერილობით და ზოგმაც ზეპირი სიტყვით. ისტორიას არ შემორჩა იმ ჯარისკაცის სახელი, ვინც პირველმა გაბედა სანგრიდან ამოსვლა და საშობაო სიმღერა წამოიწყო, თუმცა, ამბობენ, ეს გერმანელი მეომარი იყოო.

ამ მშვიდობიან საზეიმი გამოსვლაში, თურმე, 100 ათასზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა. ამ ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მომხიბლავი ეპიზოდია საფეხბურთო მატჩი, რომელიც ნეიტრალურ მოედანზე, სანგრებს შორის გაუმართავთ შობის დღესასწაულის მოზეიმე ჯარისკაცებს. წარმოიდგინეთ, 25 დეკემბერია, ძალიან ცივა, სანგრებით დასერილ და ნასროლი ტყვიებით სავსე მიწაზე, ჩექმებში და საომარ ტანსაცმელში გამოწყობილი გერმანელი და ბრიტანელი ჯარისკაცები ფეხბურთს თამაშობენ. ეს არის დღე, რომელსაც კაცობრიობის ისტორიაში, მშვიდობიან მოვლენათა შორის, ყველაზე გამორჩეული ადგილი უკავია. ფეხბურთის თამაში დავიწყეთ სანგარში და ბურთი, რომელიც წინდებისგან იყო შეკრული, სანგრიდან ამოგვივარდა. მოულოდნელად, გერმანელები შემოგვიერთდნენ და ერთად ვითამაშეთ ფეხბურთიო, წერს ინგლისელი სერჟანტი კლემენტ ბარკერი თავის წერილში, რომელიც მან ოჯახს შობიდან ოთხი დღის შემდეგ მისწერა.

ინგლისურ გაზეთ Times-ში გამოქვეყნებულ წერილში, რომელიც გერმანელ ლეიტენანტ ნიმანს ეკუთვნის, ვკითხულობთ, რომ სანგრების მის სექტორში საფეხბურთო მატჩი გაიმართა გერმანელ და ბრიტანელ ჯარისკაცებს შორის, რომელიც გერმანელებმა მოიგეს ანგარიშით სამით ორი.

ისტორია ამბობს, რომ ფრონტის ხაზზე მტრებს შორის მხოლოდ ერთი მატჩი არ გამართულა. გარდა ფეხბურთისა, ბრიტანელებმა და გერმანელებმა ერთად შეწვეს ხორცი, ერთად იმღერეს საშობაო სიმღერები და გაცვალეს თამბაქო, შოკოლადი და სასმელი. ცხადია, ომი იმ დღეს არ დამთავრებულა. ზოგიერთ ადგილას, მშვიდობამ ახალ წლამდე გასტანა, თუმცა ნელ-ნელა ყველაფერი ძველ, სასტიკ სინამდვილეს დაუბრუნდა. ჯარისკაცები სანგრებში დაბრუნდნენ და სისხლისმღვრელი ომი გაგრძელდა. ეს საკვირველი ისტორიული ფაქტი არც ისტორიკოსებს და არც ხალხს არასოდეს არ დაავიწყდებათ. საშობაო ზავის შესახებ არაერთი დოკუმენტური და მხატვრული ფილმია გადაღებული. ლეგენდარულმა ბრიტანელმა მუსიკოსმა პოლ მაკარტნიმ კი, ამ ღირსშესანიშნავ ისტორიულ ამბავს საგანგებო კლიპი მიუძღვნა. მე კი, როგორც იტყვიან, ქრისტესმიერი სიყვარულით, ჩვენს კათოლიკე და პროტესტანტ ძმებს და დებს ვულოცავ ქრისტეშობის ამ საოცარ დღესასწაულს.

ნუგზარ ბ. რუხაძე
პოსტ ვ

თაღლითები არ ცხრებიან...

შინაგან საქმეთა სამინისტრომ თაღლითობის ბრალდებით ერთი პირი დააკავა.

უწყების ცნობით, დაკავებულია პირი, რომელიც მოქალაქეებს ინტერნეტში მართვის მოწმობის შეძენას სთავაზობდა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული კომპლექსური ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წარსულში არაერთგზის ნასამართლევი, ამჟამად

პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი, 1993 წელს დაბადებული ზ.კ. დააკავეს. მას ბრალად ედება თაღლითობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. დანაშაული 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებულმა მობილურ საკომუნიკაციო აპლიკაცია Telegram-ში შექმნა არხი (ჯგუფი), სახელწოდებით — MODGOVGE INFO. იგი თავადვე უწევდა ადმინისტრირებას აღნიშნულ არხს, რომელიც დაინტერესებულ პირებს, შესაბამისი თანხის სანაცვლოდ, მართვის მოწმობის არაკანონიერი გზით შეძენას სთავაზობდა. ზ.კ. დაინტერესებულ მოქალაქეებს ერთ-ერთი უცხოური ელექტრონული საფულის და ქართული ონლაინ ტოტალიზატორის ანგარიშზე ვითომდა მომსახურების საფასურს — გარკვეულ თანხებს არიცხვინებდა და მათ კუთვნილ თანხებს თაღლითური გზით ეუფლებოდა, თუმცა მართვის მოწმობებს არ უმზადებდა“, — აცხადებენ შსს-ში.

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს იზოლდა ბოლქვაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის თანამესაკუთრეები:** იზოლდა ბოლქვაძე (პ/ნ 61006065015), ბათუმი, ადლიას ქ. №44

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

ხელვაჩაური, ს. ახალშენი (საკადასტრო კოდი: 22.23.03.400).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 79 41.30 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2021 წლის 28 დეკემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2022 წლის 12 იანვარი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP76347021;

აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 763470

6. **მოვალე:** ზაურ კონცელიძე (პ/ნ 61001049159), ბათუმი, თამარ მეფის დას. №16, ბინა №4.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP76347021; ლოტის ნომერი: 763470).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2022 წლის 12 იანვრის 10:00 საათამდე.

ი. ჟორდანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აგრძელებს მუშაობას მისამართზე-თევდორე მღვდლის,13 ა,VIII სართული. ტელ.224 00 99; 224 00 98.
მალე გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილებები. გისურვებთ ჯანმრთელობას!

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

პენიტენციურ დაწესებულებებში ამანათების მიღება იწყება

სპეციალური პენიტენციური სამსახურის დაქვემდებარებაში არსებული ყველა პენიტენციური დაწესებულება ბრალდებულებისთვის მსჯავრდებულებისთვის, ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით, ამანათების მიღებას იწყებს.

„პენიტენციურ დაწესებულებებში ამანათების მიღება 29-30 და 31 დეკემბერს დილის 9 საათიდან დაიწყება და 18 საათამდე გაგრძელდება.

სპეციალური პენიტენციური სამსახური ამანათების მიღების პროცესის შეუფერხებლად წარმართვას უზრუნველყოფს“, — აცხადებენ უწყებაში.

სს ჩაჩავას კლინიკის გინეკოლოგიური სექტორის და ანესთეზია-რეანიმაციული განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან დიდბუნებოვანი, სიდარბაისლით გამორჩეული ქალბატონის

თამარ ჩხეიძე-ავალიანის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახს მწუხარებაში.

ზაურ ბოჭორიშვილი

უდიდესი დანაკლისი განიცადა ქართულმა საინჟინრო-გეოლოგიურმა საზოგადოებამ, გარდაიცვალა უკეთილშობილესი და არაჩვეულებრივი მეგობარი, ნათესავებისა და მეგობრებისადმი მხარში მდგომი, ერთგული და თავდადებული პიროვნება, საინჟინრო-გეოლოგიური სკოლის ერთ-ერთი გამორჩეული სპეციალისტი ზაურ ბოჭორიშვილი.

1959 წელს წარმატებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი, ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო-გეოლოგიის სპეციალობით. იმავე წელს პრაქტიკული საქმიანობა დაიწყო კავკასიის რკინიგზების საკვლევ-საძიებო-საპროექტო ინსტიტუტში („კავგიპროტრანსში“), სადაც ინჟინერ-გეოლოგის, პარტიის უფროსის, მთავარი გეოლოგისა და ექსპედიციის უფროსის თანამდებობებზე სხვადასხვა დროს მუშაობდა 1997 წლამდე. მონაწილეობდა და ხელმძღვანელობდა ისეთ მნიშვნელოვან საინჟინრო-პროექტებს, როგორიც იყო: ზუგდიდი-ჯვარის, ბარდა-აგდამი, ივჯევან-რაზდანი, ბატაისკ-სტარომინსკაია, მარაბდა-ახალქალაქი, მეშხედ-სერახსი (ირანი) სარკინიგზო ხაზები და სხვა.

ზაურ ბოჭორიშვილის დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევის საქმეში. 1964-1967 და 1997-1999 წლებში იგი იყო ერთ-ერთი ავტორი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მეწყრული და ღვარცოფული მოვლენების გავრცელებისა და განვითარების კანონზომიერებების კვლევისა. ფასდაუდებელია მისი მრავალწლიანი მოღვაწეობა კომპანია „ჯეოინჟინირინგში“, სადაც თავის მრავალმხრივ ცოდნასა და გამოცდილებას უშურველად გადასცემდა ახალგაზრდა ინჟინერ-გეოლოგებს, რომლებიც არასდროს დაივიწყებენ მის დიდსულოვნებასა და ღვაწლს.

მაღალპროფესიულ ცოდნასთან ერთად, იგი უაღრესად კარგი მეოჯახე, მოსიყვარულე მეუღლე, მამა და ბაბუა იყო.

მისი მეგობრები და ყოფილი თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ბატონი ზაურ ბოჭორიშვილის გარდაცვალების გამო და გულისტკივილით უსამძიმრებენ მეუღლეს, ქალბატონ მანანა კავკასიძეს, მის დას — ლია ბოჭორიშვილს, შვილს — ვანო ბოჭორიშვილს და შვილიშვილს — პატარა ანდრიას, რომლის დაბადებაც ასე უხაროდა სიბერის წლებში ბატონ ზაურის.

საქართველოს საინჟინრო-გეოლოგიური საზოგადოება;

გრუნტების მექანიკისა და გეოტექნიკური ინჟინირინგის საქართველოს საზოგადოება;

კომპანია „ჯეოინჟინირინგი“.

და ლია ბოჭორიშვილი, სიძე ირაკლი, დისშვილები ია და ირინა დვალები, სიძეები: მამუკა ჭოჭუა, დავით ჯოხაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზაურ ბოჭორიშვილი

დაკრძალვა ხუთშაბათს, 2 საათზე, გამოსვენება საბურთალოს სასაფლაოს ამაღლების ტაძრიდან.

ვახტანგ ვეფხვაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება შესანიშნავი პიროვნების, ღირსეული და ჭეშმარიტი მამულიშვილის

ზაურ ბოჭორიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ლაშა ტალახაძე:

2021 წლის წარმატებულად გადაგორებაში მეც ჩემი ღონით ვედექი ჩვენს ხალხს მხარში. არც კვლავ დავიშურებ ჩემს ძალ-ღონეს, კიდევ არაერთი ოქრო შევძინო და ჩემებურად გავამდიდრო საქართველო.

ახლა კი მთელი გულით გილოცავთ, ძვირფასო ქართველებო, დამდეგ ახალ წელიწადს!

ბევრი ჩასვა ტალახში ტალახაძე ლაშამ, აამაღლა სამშობლო, ოქროც შესძღვნა, ვაშაც!

წლის ყველაზე შემოსავლიანი ფილმი

„ადამიანი ობობა: სახლისკენ გზა არ არის“ 2021 წლის ყველაზე შემოსავლიანი ფილმი გახდა.

ფილმის შემოსავალმა გაქირავების მეორე კვირის უქმე დღეებში 81.5 მილიონი დოლარი შეადგინა. ამგვარად, პრემიერიდან 12 დღეში ჩრდილოეთ ამერიკაში სურათის შემოსავალმა 467 მილიონი, მსოფლიოს მასშტაბით კი 587,1 მილიონი შეადგინა. ჯამში, სურათის გლობალურმა შემოსავალმა მილიარდ დოლარს გადააჭარბა. ამგვარად, „ადამიანი ობობა“ პანდემიის პერიოდში ყველაზე შემოსავლიანი სურათიც გახდა.

„ქორეონიკონი“ რუსთაველის სცენაზე

შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის სცენაზე აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „აფხაზეთის“ კონცერტი „ქორეონიკონი“ გაიმართა. ანსამბლი მაყურებლის წინაშე განახლებული პროგრამით წარდგა. ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელია ბაჩანა ჭანტურია, დირიჟორი თორნიკე მანწკავა, ხოლო კოსტიუმების მხატვარი ეკატერინე ჯავახიშვილი. ღონისძიებას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე რუსლან აბაშიძე, საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, თბილისის მერიის და საკრებულოს, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების წარმომადგენლები, აფხაზეთის მთავრობის წევრები და უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, აფხაზეთის საზოგადოება ესწრებოდნენ. საპრემიერო კონცერტები რუსთაველის თეატრში დღესაც გაგრძელდება.

უსახლკარო ვეტერანებს შვარცენეგერი სანტა-კლაუსად მოევლინა



მსახიობმა და კალიფორნიის ყოფილმა გუბერნატორმა არნოლდ შვარცენეგერმა ლოს-ანჯელესელ უსახლკარო ვეტერანებს საშობაოდ 25 სახლი აჩუქა.

შვარცენეგერმა ამ პროექტის განხორციელებისთვის 250 ათასი დოლარი გაიღო. პატარა სახლებში გაყვანილია ელექტროენერგია, გათბობა, დამონტაჟებულია კონდიციონერები. ვეტერანებმა შესახლება უკვე დაიწყეს. ადგილი, სადაც სახლები დადგეს, შვარცენეგერმა თავად მოინახულა და ვეტერანებს გაესაუბრა.

მომავალი 365 დღე - მშვიდობასა და ჯანმრთელობაში!

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 5 იანვარს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.0789; ევრო - 3.4853;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.1285;
100 რუბლი - 4.1890; თურქული ლირა - 0.2713;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8094;
1000 სომხური დრამი - 6.4229.

ამინდი 29 დეკემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-3,	დღე	+10
მთიანი რაიონები -	ღამე	-8,	დღე	+6
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+2,	დღე	+15
მთიანი რაიონები -	ღამე	-5,	დღე	+12
თბილისი:	ღამე	0,	დღე	+8

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge